ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 16 ივლისი, 2021 №129 (8658) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

პირველი არხის ოპერატორ ილიკო თვალიაშვილზე ძალადობისთვის გიორგი მაღრაძეს პატიმრობა შეეფარდა

გლდანში მამაკაცი ცოლისძმამ მოკლა



გვ.5

გეგი ნიგურიანის მკვლელობისთვის გეგი ღვაჩლიანი დააკავეს

გვ.2

„ღარიბაშვილის გადადგომა მეეჭვება“

თამარ ჩხეიძე: „ხელისუფლება 5 ივლისზე თავს ვერ გაიმართლებს“

გვ.3

აშშ-ის საელჩო: „6 მოსამართლის დანიშვნის გადაწყვეტილება გულდასაწყვეტია“



გვ.2

„მმართველი პარტია 19 აპრილის შეთანხმებას არ ასრულებს“

თაკო ჩარკვიანი: „ქალთა სახეები ზებრისტყაოსანში – წილოსანი, ზავრადაშვილი და წულუკიანი“



პაატა ზაქარეიშვილი: „ოპოზიციის ამოცანა რა არის, „ქართული ოცნების“ ჩამოშლა თუ გახარიას არ გახარება?!“

„ეს ოპოზიცია პრემიერს ვერ გადააყენებს“

გვ.3

„ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება“

გვ.4

დათო ლორთქიფანიძე: „ამ უპასუხისმგებლო ოპოზიციის შემყურე ეს ქვეყანა კიდევ კარგ დღეშია“

ISSN 1987-9385

3 გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ „ქართული ოცნება“ და საკრებულო დატოვა

3 თამარ გაბუნია: „უკვე მიდის მსჯელობა ვაქცინის მესამე, „ბუსტერი“ დოზის თაობაზე“

5 ბათუმში ბანკის მენეჯერმა ბანკს 3 მილიონ ლარზე მეტი მოპარა

6 ნიკოლ ფაშინიანი: „სომხეთი დაიცავს საკუთარ სუვერენიტეტს“

„ეს არ ყოფილა პარლამენტი, ეს იყო ფსკერზე მყოფი ადამიანთა ხროვა“

თაკო ჩარკვიანი: „ქალთა სახეები ზებრისტყაოსანში – წილოსანი, ზავრადაშვილი და წულუკიანი“

იაგო ნაცვლიშვილი

5-6 ივლისის მოვლენებმა ქვეყანაში ახალი კრიზისი შექმნა. შარლ მიშელი საქართველოში ისევ ჩამოდის, თუმცა უცნობია, რა მისია ექნება ამჯერად. მედიის და ოპოზიციის უპირობო მოთხოვნად პრემიერის გადადგომა და დამნაშავეების დასჯა რჩება.

რა მისიით ჩამოდის მიშელი? რატომ ფიქრობს, რომ ღარიბაშვილი გადადგება და რა მოიგო ხელისუფლებამ 5-6 ივლისის მოვლენებით? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი **თაკო ჩარკვიანი** საუბრობს.

– ვნახეთ მძიმე მოვლენები და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ამ ფონზე საქართველოში ისევ ჩამოდის შარლ მიშელი, როგორ ფიქრობთ, რატომ?

– მე თქვენთან ინტერვიუში არაერთხელ მაქვს ნათქვამი, რომ მე არ ვუჭერდი და ხელი არ მომიწერია დოკუმენტისთვის და, სხვათა შორის, არც ნაციონალურ მოძრაობას. მიხარია, რომ არქივი არსებობს და ყველას შეუძლია ნახოს. მე ისევ იგივე აზრზე ვარ, რომ იმ დოკუმენტისთვის ხელი არ უნდა მომეწერა. კი, ბატონო, 20 ივნისის შეწყალების ნაწილი ამოეღოთ და მე დოკუმენტს მოვაწერდი ხელს. იმის მიუხედავად, რომ სხვა ბევრი ბუნდოვანება იყო.

მოეწერა ხელი დოკუმენტს და მერე რა? ასრულებს „ქართული ოცნება“ შეთანხმებას? რაც მათ გააკეთეს 5-6 ივლისს, ყველაფერი აზრს კარგავს, მაგრამ შეთანხმება არ სრულდება. მოსამართლეებზე წერია, რომ უნდა შეჩერდეს და უნდა მოხდეს სისტემის რეფორმა და მაინც აირჩიეს, რაც არის ყველაზე მძიმე. ასევე ბევრი კითხვა რჩება საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებითაც. მე ვფიქრობ, რომ ამის გამო ჩამოდის საქართველოში შარლ მიშელი.

– ჩვენ ვნახეთ ამერიკის ელჩის უმძიმესი განცხადება, იყო სხვა განცხადებებიც, ასეთი რამე გახსოვთ?

– მართლაც ძალიან მძიმე და სამართლიანი განცხადება გააკეთა ქალბატონმა კელი დეგნანმა. ეს ნიშნავს, რომ სხვა გზა აღარ დარჩა. გახსოვთ, როგორ მოგვიწოდებდნენ კომპრომისისკენ და პარლამენტში შესვლისკენ, შევედით და ამით არაფერი შეცვლილა.

შესვლამდე ვიღაცები მიკიჟინებდნენ, რომ აი საგამოძიებო კომისიებს შექმნით და ამას გააკეთებთ და იმასო. შევედით, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვცვლით. მე ყველა ეს საკითხი გავლილი მაქვს იურისტებთან დეტალურად. დღეს კი ჟურნალისტებზე ანგარიშსწორებით სხვა რეალობა დადგა. თქვენ – ჟურნალისტები დღეს ხართ დაუცველები. ამის მოთმენა არ შეიძლება და ეს ვითარება შექმნა ღარიბაშვილმა. ბევრი ცუდი პრემიერი გვყოლია, 20 ივნისიც ვერ და არ „პრავდება“, მაგრამ ასეთი პრემიერი, რომელმაც შეკრიბა რაზმები და პირდაპირ ანგარიშსწორება მოახდინა ჟურნალისტების, მე ეს არასდროს არ მინახავს.

პარლამენტში რაც ხდებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ და ხომ ნახეთ ტელეეთერში, მაგრამ დამიჯერეთ, რეალურად იქ ისეთი მძიმე სურათი იყო, ამას არც კი წარმოიდგენ. თანაც ესენი იყვნენ ქალები, რაც განსაკუთრებით სამწუხაროა. ქალი ყოველთვის ცდილობდა ჩხუბის დროს განეიტრალებას და აქ, პირიქით, ამწვავებდნენ. მაგალითად, ასეთი იყო ვინმე ირმა ზავრადაშვილი. ვიხუმრე, ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში გვყავდა-მეთქი და ახლა ქალთა სახეები ზებრისტყაოსანში გვყავს, წილოსანი, ზავრადაშვილი და წულუკიანი-მეთქი.

ნეტა არ მენახა ის მოვლენები და ნეტა ჩემ ქვეყანაში არ მომხდარიყო. უკვე მეორე დღეს, როდესაც შევიკრიბეთ, ქვების კორიანტელში გავიარეთ მე და ჩემმა მეუღლემ. გაგვიმართლა, რომ არ მოგვხვდა. ახლა არ დავიწყებ მამაცობანას თამაშს და გეტყვით იმასაც, რომ მე მოვლენების შუაგულში არ მივსულვარ, მე გავედი რაღაცის გასაპროტესტებლად და აღმოვჩნდი ამ ვითარებაში. მამაკაცები მახლდნენ, ჩემი მეუღლე და ჩვენი პარტიის მამაკაცი წევრები, მაგრამ უმძიმესი სურათი იყო ეს. ამიტომ, პრემიერი ღარიბაშვილი უნდა გადადგეს.

– დატოვებს თანამდებობას?

– აუცილებლად. ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ.

– როგორ მოუწევს, ხალხის პროტესტის თუ დასავლეთის მკაცრი კრიტიკის გამო?

– ორივე. განცალკევებულად არ განვიხილოთ. ხედავთ, რომ ძალიან მწვავე პროტესტია ქვეყანაში და ამავდროულად ჩვენ ვმუშაობთ დასავლეთთანაც. არავის ეგონოს, რომ გულხელდაკრეფილები ვართ. ისედაც მსოფლიო ხედავს ყველაფერს, ნახეს, როგორ წაახალისა მთავრობამ დანაშაული და ამას პასუხი უნდა გაეცეს.

– მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ღარიბაშვილს გაუშვებენ, მაგრამ ცოტა ხნის მერე და სხვა მიზეზს მოძებნიან.

– კი ბატონო, არ არის გამორიცხული, ასე მოხდეს. მაგრამ ყველა ყველაფერს ხედავს. არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზეზს მოძებნიან, მაგრამ უნდა წავიდეს! მთავრობა ღარიბაშვილიანად უნდა აილაგმოს. ეს ჩემი კაპრიზი არ არის.

სასულიერო პირი, რომელიც პირდაპირ მოითხოვდა ძალადობას, ამბიონთან მივედი და კურთხევა ავიღე, რას ნიშნავს? კანონი უნდა იყოს ყველასთვის ერთი, მოძალადე ანაფორას გადაიცვამს და მღვდელს დაირქმევს, ეს რას ნიშნავს? მგონია, რომ ეს აქცია ქართული მართლმადიდებლობის წინააღმდეგაც იყო მიმართული, რომ ძირი გამოეთხარათ ნორმალური, ჯანმრთელი, კარგი სამღვდელოებისთვის, რომელიც არსებობს. ეს ჩაიდინეს მოძალადეებმა, რომლებსაც, რა თქმა უნდა, რუსეთის უშიშროება კვებავს, ამიტომ ხელისუფლებას, რომელსაც კვებავს რუსეთის უშიშროება, ასეთი ხელისუფლება უნდა გადადგეს, ასეთია ღარიბაშვილი თავისი ბანდით.

– ოპოზიციაში უკვე ალაპარაკდნენ პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებაზე. დროულია ეს?

– არა, რა დროს ეგაა, ქვეყანა გვაქვს გადასარჩენი და იცით ჩემი პოზიცია ამაზე. მე გამოვაცხადე, რომ ბოიკოტის რეჟიმში გადავდივარ. მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. მომიტევოს ყველამ, მაგრამ რაც იქ დაგვხვდა, ეს არ ყოფილა პარლამენტი, ეს იყო ფსკერზე მყოფი ადამიანთა ხროვა. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა ღარიბაშვილის გუნდი. იქაც არიან ადამიანები, რომლებიც ოპონირებენ. არ მოსწონთ შენი პოზიცია, მაგრამ სახეს არ კარგავენ. სითამამე არ ჰყოფნით, მაგრამ მოდით ყველას ნუ მოვხარშავთ ერთ ქვაბში. ხელისუფლების წარმომადგენლები ნაძარცვის შენახვის გამო უპირისპირდებიან ადამიანებს.

– ეს გასაგებია, მაგრამ ჩნდება კითხვა – ამით რა მოიგო ხელისუფლებამ?

– სხვათა შორის, ისტორიის მაგალითებზე ვსაუბრობდით სახლში გუშინ მე და დედაჩემი და მინდა გითხრათ, რომ ასეთი კითხვა ყოველთვის ჩნდებოდა სხვადასხვა დიქტატორების დროს, რომ ამით რა მოიგო. არაფერი არ მოუგია და შეცდომას იცით, როდის უშვებენ? – როდესაც მომხვეჭელობის გზას ადგებიან. ღარიბაშვილი არის უსასტიკესი პრემიერი და ჩვენ ეს არ უნდა მოვითმინოთ. ეს იცით რას ჰგავს? ტერორისტთან რომ წახვიდე მოლაპარაკებაზე და თქვა, რომ მოსალოდნელია ტერორისტების გაძლიერება და ამიტომ საქართველოს ბიუჯეტიდან მილიარდები გადაუხადო.

– ანუ, სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა ხელისუფლებამ მედიის წინააღმდეგ?

– რა თქმა უნდა, ეს ასე იყო. ეს გააკეთეს იმის გამო, რა სიუჟეტებიც გავიდა ტელეეთერებში მათი ქონებების შესახებ. ეგონათ შეაშინებდნენ ჟურნალისტებს. მოკლედ გიპასუხებთ თქვენ კითხვაზე, როგორც იმ ცნობილ ფარულ ჩანაწერებშია, „ტრი-ტრი“ ჩაატარა. ხომ გახსოვთ, იქ როგორ საუბრობენ ახალგაზრდებზე ანგარიშსწორებაზე, ახლა ეს გადმოიტანეს ჟურნალისტების მიმართ.

ამიტომ, სასწრაფოდ გადადგეს ღარიბაშვილი, თუ უნდათ, რომ შეწყდეს ცოტათი ესკალაცია და მშვიდად მივიდეთ არჩევნებამდე. თავისი ამოჩემებული მდგომარეობით ღარიბაშვილი განსაკუთრებულ ზიზღს იწვევს. ბატონო ბიძინა, სასწრაფოდ გაიყვანეთ თქვენი პაიკი, თუ გინდათ, რომ ცოტათი მაინც დამშვიდდეს სიტუაცია. საქართველოს რუსეთს არ დავუთმობთ.

აშშ-ის საელჩო: „6 მოსამართლის დანიშვნის გადაწყვეტილება გულდასაწყვეტია“

„მმართველი პარტია 19 აპრილის შეთანხმებას არ ასრულებს“

საქართველოში აშშ-ის საელჩო შეშფოთებას გამოთქვამს უზენაეს სასამართლოში ექვსი მოსამართლის დანიშვნის გამო.

როგორც საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, გადაწყვეტილება წარმოადგენს მნიშვნელოვან დაკარგულ შესაძლებლობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გაძლიერებისა და დემოკრატიული განვითარების კუთხით.

„პარლამენტის 12 ივლისის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში ექვსი მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით, მიუხედავად საქართველოს პოლიტიკურ ლიდერთა 19 აპრილის მკაფიო შეთანხმებისა, „თავი შეიკავონ უზენაეს სასამართლოში არსებული წესებით მოსამართლეთა დანიშვნისგან,“ უაღრესად გულდასაწყვეტია.

სამწუხაროა, რომ ამ წარდგენისა და დანიშვნის პროცესით და ინკლუზიური და ფართო სასამართლო რეფორმის განუხორციელებლობით, ვერ შესრულდა საქართველოს ლიდერების, მათ შორის, მმართველი პარტიის მიერ აღებული 19 აპრილის შეთანხმების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება.

პარტიები შეთანხმდნენ ამბიციური სასამართლო რეფორმის განხორციელებაზე ფართო და გამჭვირვალე პროცესის მეშვეობით, სამართლის ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების მონაწილეობით. ცალმხრივი საკანონმდებლო ცვლილებები, მიღებული საერთაშორისო პარტნიორების რჩევის საწინააღმდეგოდ, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 19 აპრილის შეთანხმებაზე, არ შეესაბამება ამ შეთანხმების შინაარსსა და სულისკვეთებას. განსაკუთრებით, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში აპრილის დასაწყისში შესული ცვლილები, რომელმაც სრულად ვერ ასახა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, მათ შორის, მთავარი რეკომენდაცია მოსამართლეთა დანიშვნების გადავადებასთან დაკავშირებით.

ფართო და ყოვლისმომცველი სასამართლო რეფორმის განხორციელებამდე დანიშვნის არშეჩერებას რეალური შედეგები აქვს. სამართლის ექსპერტებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარლამენტის ხარვეზიანმა პროცესმა ვერ უზრუნველყო ყველაზე კვალიფიციური კანდიდატების დაწინაურება, შედეგად კი, ნაკლებად კვალიფიციური კანდიდატები უვადოდ გამწესდნენ სასამართლოში.

როგორც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 9 ივლისის ანგარიშშია აღნიშნული, „კანდიდატების წარდგენა განხორციელდა გარემოში, სადაც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მიმართ საზოგადოების ნდობა მწირია“ და „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული შერჩევის, მოკვლევისა და ინტერვიუების პროცესი ვერ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს“.

აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო, პარლამენტს შეეჩერებინა დანიშვნის პროცესი ინკლუზიური, ყოვლისმომცველი რეფორმის განხორციელების მიზნით, რომელშიც ასახული იქნებოდა სამართლის ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის მოსაზრებები. პარლამენტს ჰქონდა ამგვარი მოქმედების უფლებამოსილება და დანიშვნების შეჩერება არ გამოიწვევდა სასამართლო სისტემის ზედმეტ გადატვირთვას. შესაბამისად, ამგვარად არ მოქცევის გადაწყვეტილება ძალიან შემაშფოთებელია და წარმოადგენს მნიშვნელოვან დაკარგულ შესაძლებლობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გაძლიერებისა და დემოკრატიული განვითარების კუთხით.

შეერთებული შტატები მზადაა, გააგრძელოს პარლამენტისა და ქართველის ხალხის მხარდაჭერა საქართველოში სასამართლო სისტემისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისთვის დამაჯერებელ ძალისხმევაში“ – აღნიშნულია საელჩოს განცხადებაში.

თენგიზ ცერცვაძე: „სასურველია, ექიმების აცრა სავალდებულო იყოს“



– მე პირადად მიმაჩნია, რომ მედიცინის მუშაკები სავალდებულოდ უნდა იყვნენ აცრილები, მაგრამ მოსახლეობის მიერ სიტყვა სავალდებულო ვაქცინაცია ძალიან ცუდად აღიქმება.

ამის შესახებ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა, თენგიზ ცერცვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ცერცვაძემ აღნიშნა, ქვეყანაში სავალდებულო აცრის შემოღება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება:

– ჩვენ თავისუფლებას მოწყურებული ქვეყანა ვართ, საბჭოთა სისტემიდან წამოვედით და ის, ვინც თავისუფლებით დიდი ხანია ტკბება, ევროკავშირის ქვეყნები, უფრო ლაპარაკობენ სავალდებულოზე. მაგალითად, საფრანგეთში შემოიღეს სავალდებულო ვაქცინაცია. საქართველოში ეს ძალიან მტკივნეულად აღიქმება. როგორც კი ახსენებ სიტყვა სავალდებულოს, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო თვალსაზრისით, ეს ძალიან კარგი იქნებოდა, სოციალური თვალსაზრისით, ეს მტკივნეულად აღიქმება.

ჯანდაცვის მუშაკები სასურველია, თუ ყველა იქნება აცრილი, ოღონდ მაინც, ნებაყოფლობითი, შეთავაზების დონეზე. სავალდებულო იმ გაგებით, რომ შენ თუ არ აიცრი, დაგითხოვ ექიმობიდან, ასეთი მიდგომა საქართველოში ჯერ ვერ გატარდება, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ეს ოპოზიცია პრემიერს ვერ გადააყენებს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ოპოზიციის ამოცანა რა არის, „ქართული ოცნების“ ჩამოშლა თუ გახარიას არ გახარება?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? მედიის ნაწილი და ოპოზიციური პარტიები აქტიურად მოითხოვენ პრემიერ-მინისტრის გადადგომას. „ლელო“ აცხადებს, ოპოზიციური პარტიები პრემიერობის კანდიდატზე შევთანხმდითო. გადააყენებ პრემიერს კანდიდატზე რომ შეთანხმდნენ?

– მეც მომხრე ვარ, რომ პრემიერი გადადგეს. მან ხელი შეუწყო იმ აღვირახსნილ პოლიტიკას რა პროცესებიც დაიწყო 5 ივლისს, მაგრამ ის არ გადადგება. იმიტომ არ დაუწყია ეს ყველაფერი, რომ გადადგეს. არანაირი რესურსი არ გააჩნია ოპოზიციას, რომ პრემიერი გადააყენოს. მე მომხრე ვარ ამის, მაგრამ ის არ გადადგება. არჩევნების წინ ღარიბაშვილის გადადგომა, კატასტროფა იქნება „ქართული ოცნებისთვის“. ამიტომ ამას არ დაუშვებენ არავითარ შემთხვევაში. თუ კიდევ რაღაც განსაკუთრებული არ მოხდა, თუ კიდევ სიკვდილი არ დადგა სერიოზული დონის და არ დაიღუპა ადამიანები, არავითარი შანსი არ არსებობს, რომ ამ უსუსურმა და ამ უძლურმა ოპოზიციამ რამეს მიაღწიოს.

– რას ნიშნავდა „ლელოს“ განცხადება, რა უნდათ საერთოდ?

– „ლელო“ ძალიან სუსტია, რაღაცა ხომ უნდა თქვას, რაღაცით ხომ უნდა გაამართლოს თავისი არსებობა და თავისი ყოფნა პარლამენტში. ამიტომ ცდილობს მუდმივად რაღაცა გააჟღეროს. ამ პარტიაში ხომ პოლიტიკოსები არ არიან, ერთი უსუფაშვილია და ისიც საქართველოში არაა. ამიტომ ისინი ვერ ახერხებენ გენერაციას პოლიტიკური კონტექსტისას და, შესაბამისად, შედეგიც სახეზეა. რაგბის მოთამაშე რომ შეუშვა ფეხბურთის სათამაშოდ, დაახლოებით ეს მომენტია. მათ არ იციან ის წესები, რა წესებით თამაშიც დადგენილია ქართულ პოლიტიკაში. ამიტომ ყოველთვის არაადეკვატურად იქცევიან.

– თავს ახსნებენ საზოგადოებას?

– იმდენად სუსტები არიან, რომ მათი გაზომვაც და მათი ქმედებების ახსნაც შეუძლებელია. ეს ის ძალაა არაა, რომ რამეს ცვლიდეს მათი ქმედებები.

– არც ოპოზიციაა დღეს იმ სიტუაციაში, რომ ერთიანობა შეძლონ. ოპოზიციაც საკმაოდ სუსტია. არა?

– რა თქმა უნდა, საკმაოდ სუსტია ოპოზიცია. ამიტომაც არის, „ოცნება“ ამდენს რომ ბედავს. „ოცნების“ ერთადერთი ძალა არის ოპოზიციის სისუსტე, სხვა არანაირი ძალა „ოცნებას“ არ გააჩნია. „ქართული ოცნება“ ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე წამსვლელი შევარდნაძე იყო. შევარდნაძე იმ დროისთვის უფრო ძლიერი იყო, თავისი გუნდით, ჯგუფით, ვიდრე დღევანდელი „ქართული ოცნებაა“. მაგრამ ძალიან ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა მაშინ შევარდნაძეს. სააკაშვილი-ჟვანიაბურჯანაძე, საკმაოდ ეფექტურ მოლოდინს უქმნიდა საზოგადოებას სიახლეებისკენ. დღეს კი არაფრის მოლოდინი არაა. ერთადერთი, ვინც ეწინააღმდეგება და კარგად აფორმებს „ქართულ ოცნებას“, ეს არის ნაციონალური მოძრაობა.

– წინა პლანზე გამოჰყავთ ნაციონალური მოძრაობა და მერე არჩევნის გაკეთება უწევს საზოგადოებას?

– დიახ, ასეა. ამიტომ ეფექტურად მუშაობს ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ერთმანეთის პარტნიორები არიან. ნაციონალურმა მოძრაობამ კარგად იცის, რომ ის ვერასდროს ვერ გაიმარჯვებს, უახლოეს ხანში და მერე საერთოდ ყველას მიავიწყდება. ამიტომ რატომ არ უნდა იყოს საყვარელი ოპოზიცია ამ ხელისუფლებისა?!

„ლელო“ ძალიან სუსტია, რაგბის მოთამაშე რომ შეუშვა ფეხბურთის სათამაშოდ, ასე არიან. მათ არ იციან ის წესები, რა წესებით თამაშიც დადგენილია ქართულ პოლიტიკაში“

– ერთმანეთს აცოცხლებს ეს ორი ძალა?

– რა თქმა უნდა, ცალსახად. არც არავინ არ სთავაზობს საქართველოს უკეთეს ვარიანტს, გარდა ამ ძალებისა და ამ ფონზე, მე რომ ვიყო გახარიას მომხრე, კიდევ უფრო ბევრს ვილაპარაკებდი მასზე, მაგრამ მე მისი მომხრე არა ვარ. თუმცა ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მაინც მიმაჩნია, რომ დღევანდელი პოლიტიკური კონტექსტი გვაიძულებს, რომ ვილაპარაკოთ ვადამდელ არჩევნებზე.

– გახარია ახსენეთ და დღეს მისი პოზიცია უფრო ნეიტრალური და დაბალანსებული ჩანს, რას ცდილობს?

– გახარია ცდილობს დაიკავოს მესამე ძალის ადგილი, ის ადგილი, რომელიც თავის დროზე „ლელომ“ ვერ დაიკავა. მე მგონი, ჯერჯერობით სწორად მოქმედებს და სწორად მუშაობს. არ ვიცი რას ამოუქექავენ მას არჩევნების წინ. აუცილებლად რაღაც ექნებათ შემონახული და დაუყრიან რაღაც კორუფციულ საქმეებს, მაგრამ ჯერჯერობით ის სწორად მოქმედებს. ის ცდილობს შექმნას მესამე ცენტრი და ეს ამ წუთში წარმატებულია. მე მგონი, დანარჩენ ოპოზიციას ურჩევნია კარგად გაითავისოს, რა არის მისი ამოცანა, „ქართული ოცნების“ ჩამოშლა თუ გახარიას არ გახარება?! თუ გახარიას ჩაძირვაა, მაშინ დაანებონ თავი „ქართულ ოცნებას“. თუ „ქართული ოცნების“ ჩამოშლაა მთავარი, მაშინ კეთილი ინებონ და გახარიას ანგარიში გაუწიონ. სულ ცოტა, ნუ ძირავენ მას. ხოლო როცა ჩამოშლიან „ქართულ ოცნებას“, მერე, რაც უნდათ, ის ქნან.

– როგორ ფიქრობთ, გაღრმავდება ისე პოლიტიკური კრიზისი, რომ მივალთ ვადამდელ არჩევნებამდე?

– არა, ეს ჯერჯერობით არ ჩანს. ვადამდელ არჩევნებზე უნდა ვისაუბროთ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, უნდა შევხედოთ, რა სიტუაცია შეიქმნება. ის, რომ 43% ვერ აიღოს „ქართულმა ოცნებამ“, ამის საკმაოდ მაღალი ალბათობა არსებობს, მაგრამ არა აბსოლუტური. საჭიროა ოპოზიციის მეტი კონსტრუქციული დამოკიდებულება ადგილობრივი არჩევნების მიმართ. რას სთავაზობენ ისინი ხალხს ადგილობრივ არჩევნებში. საერთოდ არ ლაპარაკობენ ადგილობრივ არჩევნებზე და რატომ უნდა მისცეს ხალხმა ხმა?! ზოგი ჰკითხავს ოპოზიციას, რით ხარ „ქართულ ოცნებაზე“ უკეთესი, რატომ უნდა მოგცე ხმაო?!

– ბატონო პაატა, „ქართულმა ოცნებამ“ მისი ბოლო ნაბიჯებით საკმაოდ გააბრაზა დასავლეთი. შარლ მიშელი ჩამოდის საქართველოში, რას შეცვლის მისი ჩამოსვლა? დაარღვიეს შარლ მიშელის დოკუმენტი და მაინც დანიშნეს მოსამართლეები. სანქციებს დაუწესებენ თუ რა მოლოდინი გაქვთ?

– მკაცრ გადაწყვეტილებებს ველოდები, მაგრამ არჩევნებამდე არა მგონია იყოს სანქციები. ეს იქნებოდა არასწორი. როგორც წესი, ევროპა ასე არ იქცევა. არჩევნების წინ სანქციებით კიდევ უფრო მეტად არ გაართულებენ სიტუაციას. ისინი თამაშში შემოდიან როგორც მხარე. ისინი ამ ეტაპზე გააფრთხილებენ ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებას“. ხელისუფლების ამოცანა კი, რაც შეიძლება მაქსიმალურად დრო გაწელოს და მივიდეს არჩევნებამდე. არაფრის შესრულებას „ოცნება“ არ აპირებს და არც აპირებდა, დოკუმენტს რომ ხელს აწერდა. ეს ვიცოდი ცალსახად, რომ ასე იქნებოდა. ეს არის თამაში ერთ კარში. „ქართული ოცნება“ არ აპირებს, რომ შეასრულოს პირობები, ის აპირებს, რომ დრო გაწელოს და მოგებულ დროში წარმატებას მიაღწიოს არჩევნებში. არჩევნების შემდეგ კი ბოდიშებსაც მოიხდის, დათმობს რაღაცრაღაცებს. მერე, რასაც შემოგვთავაზებს ევროპა, იმას გააკეთებენ, ახლა კი არაფერს დათმობენ. დაიბრმავებს თვალებს და დაიყრუებს ყურებს.

– ანუ შარლ მიშელის ჩამოსვლა არანაირი ცვლილების მომტანი არ იქნება?

– არა, არანაირის. გააფრთხილებს მკაცრად და ესენი თავს ჩაქინდრავენ. შეცვლით კი ამ ეტაპზე არაფერი შეიცვლება. ამასობაში კი მოვიდა ზაფხული, პოლიტიკურად ნაკლებად აქტიური პერიოდი. ერთი სექტემბერი ექნებათ, ხომ ნახეთ, რა ადრე დანიშნეს არჩევნები, 2 ოქტომბერს. კარგად გადის „ოცნება“ ფონზე. ერთადერთი, ვინც ნერვებს უშლის, ეს არის გახარია.

„ღარიბაშვილის გადადგომა მეეჭვება“

თამარ ჩხეიძე: „ხელისუფლება 5 ივლისზე თავს ვერ გაიმართლებს“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.

– ამ დღეებში საქართველოს კიდევ ერთხელ ეწვევა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მას გააცნობენ დეტალურ ინფორმაციას 5 ივლისის მოვლენებზე. ალბათ, მიშელთან სხვა საკითხებიც ექნებათ განსახილველი?

– რასაკვირველია. ცნობილია, რომ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ე. წ. მიშელის მემორანდუმში ჩადებული შეთანხმება სასამართლო რეფორმაზე. მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა უნდა შეჩერებულიყო, რაც არ მოხდა. შარლ მიშელს აუცილებლად ექნება შენიშვნები იმაზე, რომ არ სრულდება შეთანხმება. ირღვევა როგორც დოკუმენტის ცალკეული პუნქტები, ისე მისი სულისკვეთება.

– მოახერხებს ხელისუფლება გაიმართლოს თავი 5 და 6 ივლისის მოვლენებზე?

– გაუჭირდება. ამბობენ, რომ ხელისუფლებამ წააქეზა მოძალადეები ან წაუყრუა მიმდინარე დანაშაულს. ვფიქრობ, რომ ეს შეუფერებელი ტერმინებია. მე ასე ვიტყოდი – ხელისუფლებამ გამოიყენა ზონდერები სხვადასხვა ოპოზიციურ ჯგუფზე ანგარიშსწორებისათვის. აქ შედის, პირველ რიგში, კრიტიკული მედია, ასევე – მესამე სექტორი და სხვა ოპონენტები. ხელისუფლება თავის ოპონენტებს და კრიტიკოსებს თავისი ხელით ვერ გაუსწორდებოდა. ამიტომ, ამისათვის გამოყენებულ იქნა ლგბტ-თემატიკა და ივლისის პირველ რიცხვებში დაგეგმილი პრაიდი. პრაიდს ტყუილად არ უკეთდებოდა დიდი რეკლამირება. მოძალადეებს, რომლებიც ხელისუფლებამ გამოიყენა, სულ არ აინტერესებთ მამათმავლები და მათი ცხოვრების წესის პროპაგანდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იმ დღეებში ქუჩაში არ იყვნენ ლგბტ-საზოგადოების მოწინააღმდეგეები, რომლებიც გულწრფელად გამოხატავდნენ თავიანთ ემოციებს. ხელისუფლება ეცადა ლგბტ-პრაიდის გაიგივებას პოლიტიკურ ოპოზიციასთან, თუმცა ეს არ გამოუვიდა. ხელისუფლებამ 5 ივლისი გამოიყენა საკუთარი მიზნებისათვის. ამისათვის ხელსაყრელი იყო ლგბტ-თემატიკის გამოყენება. ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხი უნდა აგოს. ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. ფაქტია, რომ ეს ადამიანი, რეპორტიორი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, 5 ივლისს, სასტიკად გალახეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს. მის სასიკვდილოდ გამეტებაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება.

– საზოგადოება პოლარიზებულია. ხელისუფლებას პროტესტს უცხადებენ ტელევიზიები. სიტუაცია ჯერ ვერ დაწყნარდება?

– ხალხში აშკარად შეიმჩნევა დაბნეულობა. ამის მიზეზია ლგბტ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„თუ რუსეთი ჩათვლის, რომ ძველი ცოცხი აღარ გვის, იფიქრებს გახარიას, ანუ „გოცების“ მოყვანაზე“

გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ „ქართული ოცნება“ და საკრებულო დატოვა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ რაფი ორუჯოვმა თანამდებობა დატოვა.

თანამდებობის დატოვების მიზეზად კი პარტია „ქართული ოცნებისა“ და მისი პოლიტიკური შეხედულებების აცდენა დაასახელა.

„პატივცემულო თანამემამულენო, ძვირფასო მეგობრებო, მინდა გაცნობოთ, რომ ა/წ 14 ივლისს მე, საკუთარი ნებით, დავტოვე პარტია „ქართული ოცნების“ რიგები, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და საკრებულოს წევრობა.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის არის, რომ პარტიის ბოლოდროინდელი პოლიტიკა არ ემთხვევა ჩემს პოლიტიკურ პოზიციას.

7 წლის განმავლობაში გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას და ხალხს. მადლიერი ვარ ჩვენი ქვეყნის ყველა იმ მოქალაქის, ვინც აქამდე მხარს მიჭერდა და მენდობოდა. იმედი მაქვს, რომ გავამართლე თქვენი ნდობა.

წარმატებებს ვუსურვებ იმ კოლექტივს, სადაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი.

მე ყოველთვის ვმუშაობდი და გავაგრძელებ მუშაობას ჩემი ქვეყნისა და ხალხის განვითარებისათვის“ – წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე რაფი ორუჯოვი.

თამარ გაბუნია: „უკვე მიდის მსჯელობა ვაქცინის მესამე, „ბუსტერი“ დოზის თაობაზე“

– უკვე მიდის მსჯელობა ვაქცინის მესამე დოზის, ე.წ. ბუსტერის თაობაზე.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

როგორც თამარ გაბუნია აღნიშნავს, თუ ვაქცინაციის პროცესი ეფექტური იქნება, მომავალ წელს დანაზოგი მოსალოდნელია ტესტირების ნაწილში.

– სამომავლოდ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაქცინაციის პროგრამის საშუალებით, ტესტირების პროგრამის აუცილებლობა ეტაპობრივად შემცირდება. ის ძირითადი ჯგუფები, რომელსაც საკმაოდ დიდი რესურსი სჭირდება ტესტირებისთვის, ბიზნეს-ჯგუფებზე მაქვს საუბარი, აცრის შემთხვევაში უკვე აღარ საჭიროებს სისტემურ ტესტირებას. ეს იქნება დანაზოგი თანხა, რაც დარჩება ბიუჯეტში, ან სხვა მიზნებისთვის იქნება გამოყენებული ჯანდაცვის სექტორში.

მომავალ წელს გარკვეულწილად დანაზოგი მოსალოდნელია ტესტირების ნაწილში, თუ ვაქცინაციის პროცესი ეფექტური იქნება, მაგრამ მომავალ წელსაც, ჩვენ მოგვიწევს გარკვეული რესურსის მობილიზება ვაქცინაციისთვის.

უკვე მიდის მსჯელობა მესამე „ბუსტერი“ დოზის თაობაზე, ასევე წელს ჩვენ 60%-იანი სამიზნე გვაქვს დასმული, თუმცა 60% არ ნიშნავს, რომ დანარჩენი 40% არ უნდა აიცრას. მომავალ წელსაც უნდა გავრცელდეს ვაქცინაციის პროგრამა, – აღნიშნა გაბუნიამ.

2021, 16 ივლისი, №129

„ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება“

დათო ლორთქიფანიძე: „ამ უპასუხისმგებლო ოპოზიციის შემყურე ეს ქვეყანა კიდევ კარგ დღეშია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, ლგბტ-ს ე.წ. პრაიდის კვირეულის გამო მოწყობილი კონტრაქციის დროს, 5 ივლისს, მოგეხსენებათ, ჟურნალისტებზე მოხდა შეტევა და ძალადობა. შედეგად ვითარება კვლავ აირია. თქვენი შეფასებით, ჟურნალისტებზე რატომ იძალადეს?

– ყოველგვარ ძალადობას ვგმობ. მივესალმები თუ ქვეყანაში ძალადობის გარეშე ვიცხოვრებთ. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ძალადობაში მიიღებს მონაწილეობას, მნიშვნელობა არ აქვს, ვისი კლანი წარმომადგენელი იქნება, მის მიმართ ადეკვატური ზომები უნდა გატარდეს. ძალადობა მარტო ფიზიკური არ არის. გარდა მაგისა, არსებობს ძალიან სერიოზული, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ეწევიან ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე.

– ამ შემთხვევაში ვის გულისხმობთ? რომელი ჯგუფები ძალადობენ მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურად?

– ლგბტ თემის წარმომადგენლები აშკარად ძალადობენ ადამიანების ფსიქიკაზე. როდესაც საზოგადოების უმრავლესობის განწყობები აბსოლუტურად ბიპოლარულია, ვიდრე მათი პოზიციებია, ალბათ, ისინი ბევრად მოზომილები უნდა იყვნენ, საზოგადოების დიდი ნაწილის პოზიციას ანგარიში უნდა გაუწიონ. თუმცა, ძალადობა მიუღებელია.

– ამ შემთხვევაში ძალადობა მათზე კი არ განხორციელებულა, ისინი პოლიციამ დაიცვა, გაარიდა სიტუაციას და რატომღაც მედიას შეუტიეს. ჟურნალისტებზე ძალადობას რას მიაწერთ?

– ჟურნალისტებზე შეტევას იმას მივაწერ, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფსიქოლოგიით, მათზე ზემოქმედების შედეგად, სტრესულ მდგომარეობაში აღქმებით. ზოგი ამას უმტკივნეულოდ განიცდის, ზოგს რეაქცია აქვს, უფრო აგრესიულია, მაგრამ მათგან ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანები იმით განსხვავდებიან, მაქსიმალურად მოთმინების რეჟიმში უნდა იყვნენ.

– გინდათ თქვათ, რომ კონტრაქციაზე ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანები არ იყვნენ შეკრებილი?

– ყველას არ ვგულისხმობ. როდესაც ადამიანს ერთი და იგივე კითხვით, ერთი და იგივე მეტაფორით მიმართავ: მონებო, მონებო, პუტინის დავალებას ასრულებ, პუტინის დავალებას ასრულებო, ამ შემთხვევაში ადამიანს ამაზე შეიძლება განსხვავებული რეაქცია ჰქონდეს.

ადამიანები, რომლებიც განსხვავებული რეაქციის გამო კანონს გადააბიჯებენ, მათ მიმართ სახელმწიფომ კანონით გათვალისწინებული ზომები უნდა გაატაროს. მომხდარის გამო რამდენიმე ათეული ადამიანია დაკავებული, რამდენიმეს ადმინისტრაციული სახდელები დაეკისრა, ზოგს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, ანუ ეს არის პროცესი.

ჟურნალისტებს ხელში უჭირავთ ამა თუ იმ ტელეკომპანიის ლოგო, ეს ლოგოები განსხვავებულია. სიუჟეტებიც განსხვავებულია. ვიღაც დაუდასტურებელ ვარაუდებზე აგებულ, გამუქებულ ინფორმაციებს გადმოსცემს, რომელსაც რიგ შემთხვევებში სიმართლესთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ამბობენ, რომ მათმა წყარომ მიაწოდა ინფორმაცია, სინამდვილეში, „ტაშტი გატყდა, ხმა გავარდას“ პრინციპით კეთდება გადაცემები. ასეთ შემთხვევაში არ გამოირიცხება, რომ ადამიანების გარკვეულმა ჯგუფმა აგრესია გამოხატონ.

– რაღაც გადაცემა ოდესღაც გაკეთებულა, დღეს მომხდართან რა შუაშია?

– როგორ არ აქვს კავშირი? ეს ადამიანის ფსიქიკაში ილექება. უკვალოდ არაფერი ქრება. ნებისმიერი გადაცემა, რომელიც კეთდება და არ არის უტყუარ მტკიცებულებებზე აგებული, ილექება.

– აქ ერთ და ორ ჟურნალისტზე არ არის საუბარი და მომხდარზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას, მთავრობას აკისრებენ.

– ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ყველაფერი, რაც ხდება ქვეყანაში. მათ შორის, უპასუხისმგებლო ოპოზიციის მიერ გაფუჭებული საქმეებიც, მაგრამ ხელისუფლება იმიტომ არის ხელისუფლება, რომ ამ უკანონობებზე სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს და პასუხი აგებინოს იმ ადამიანებს, რომლებმაც ადამიანებს შეურაცხყოფა მიაყენეს, მღელვარება და ადამიანების ფსიქო-ემოციური სტრესი გამოიწვიეს. ვერავინ იტყვის, რომ ხელისუფლებას ამის ვალდებულება არ აქვს.

ხელისუფლებას ამის ვალდებულება აქვს, რაზეც მიუთითებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროპა თუ ოკეანის გაღმა არსებული ჩვენი პარტნიორი სახელმწიფო. ცალსახადაა საუბარი, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მოძალადე ადამიანების მიმართ პასუხისმგებლობის დაყენება.

– როდესაც ამდენი ჟურნალისტია ნაცემი, როდესაც ოპერატორი გარდაცვლილია, ძალიან ძნელია ხელისუფლებისთვის, ემოციები ჩააცხროს და ვითარება დაარეგულიროს. მოითხოვენ პრემიერისა და შს მინისტრის გადადგომას. „ოცნებაში“ იმის განწყობა არის, რომ პრემიერი და შს მინისტრი გადააყენონ?

– გასაგებია, რომ 5 ივლისს ძალიან ცუდი ფაქტები მოხდა, მაგრამ უშუალოდ 5 ივლისს ის ადამიანი არ გარდაცვლილა. მინდა კიდევ ერთხელ სამძიმარი გამოვხატო ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების გამო, მაგრამ ამ ფაქტის პირდაპირ დაკავშირება ხელისუფლებასთან და თქმა იმისა, ის ხელისუფლებამ მოკლაო, სწორი არ არის. ამას ვერ გავიზიარებ.

ამიტომ აუცილებელია სწორი, ობიექტური გამოძიების ჩატარება და მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა. რასთან იყო ეს ყველაფერი დაკავშირებული? გარდაცვლილია ახალგაზრდა კაცი, რაც მართლა ტრაგედიაა. უნდა დადგინდეს, ეს ადამიანი კლინიკიდან რამდენად სწორად იქნა გამოწერილი? კლინიკაში რა მკურნალობა ჩაუტარდა?

ის კლინიკიდან გამოწერის შემდეგ, ტელევიზიებშიც იმყოფებოდა, თოქ შოუებში მონაწილეობდა. მადლობა უფალს, ამის არქივი არსებობს და მისი ნახვა ადვილად შეიძლება. ყოველგვარი ძალადობა დასაგმობი და ძალიან ცუდია, მაგრამ იმის თქმა, რომ ახალგაზრდა კაცი ამის გამო დაიღუპა, ნაჩქარევი დასკვნაა. ამიტომ ექსპერტიზამ ძალიან სერიოზულად უნდა იმუშაოს. მოგეხსენებათ, თვითონ მოიყვანეს დამოუკიდებელი ექსპერტი გეჯაძე, რომელიც ჩართულია გამოძიებაში. არ მინდა განცხადებები გავაკეთო, რადგან არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც არ სურთ მოისმინონ ის, რაც ამ საქმეს ჭეშმარიტებისკენ ხრის.

ამიტომ მინდა, როცა საბოლოო დასკვნა იქნება, მაშინ გაკეთდეს განცხადებები. დღეს ნაჩქარევად განცხადებების გაკეთება (ვინც უნდა იყოს ის) რელევანტური არ არის.

– გადადგება თუ არა ღარიბაშვილი და შს მინისტრი?

– ამ შემთხვევაში ადამიანზე შეიძლება განწყობებმაც იმოქმედოს. არ ვიცი, ირაკლი რა გადაწყვეტილებას მიიღებს. არის ხოლმე მომენტი, როდესაც ადამიანს შეიძლება ყელში ამოუვიდეს და თქვას, აღარ მიღირს ამ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებაო. არიან ადამიანები, რომლებიც ამას არ აკეთებენ. იმ ზეწოლის პირობებში, რომელიც რამდენიმე ოპოზიციური ტელევიზიიდან მოდის (მუდმივად ისმის გადადგომის მოთხოვნა, ტარდება აქციები, ტელევიზიების 24-საათიანი გათიშვებია), არ ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრი უნდა გადადგეს.

არ მგონია, რომ ამის „დაკანონება“ სიმშვიდეს მოგვგვრის. ნებისმიერი პრემიერის, ნებისმიერი ხელისუფლის პირობებში შეიძლება გაუგონარი რამ მოხდეს, სწორი არ იქნება, ვთქვათ, რუსთაველზე 5 ათასი კაცი გამოვიდეს და მილიონების მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური გუნდის მიერ წარმოდგენილ ადამიანს აიძულონ გადადგეს.

– ამერიკის ელჩმა განაცხადა, უფრო უკეთეს ლიდერობას მოველოდითო. როგორ აღიქვით თქვენ ეს ფრაზა?

– მე ეს ფრაზა ძალიან ბუნებრივად აღვიქვი. ჩვენი პარტნიორი ქვეყანაა, მსოფლიოში დემოკრატიის ფლაგმანია და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ცდილობს, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში. მათი ეს განცხადება არ იყო ცუდად აღქმული.

რუსთაველის პროსპექტის მიმდინარე ტერიტორიაზე ისეთი ცუდი ფაქტები მოხდა, რომელიც წასახალისებელი არ არის. ამიტომ მისი ეს განცხადება ამ შემთხვევაში ადეკვატური იყო, მაგრამ მათ არ უთქვამთ, პრემიერ-მინისტრი უნდა გადადგეს და მთელი მთავრობა უნდა წავიდესო.

– რა უფლება აქვს უცხო ქვეყნის ელჩს, თუნდაც პარტნიორი ქვეყნისას, თქვას, პრემიერ-მინისტრი უნდა გადადგეს და მთავრობა უნდა წავიდესო? ამის უფლება აქვს?

– არა. საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, რა თქმა უნდა, ამის თქმის უფლება არ აქვს და, ნებისმიერ განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაში, ასეთ შემთხვევაში, მინიმუმ, ელჩს დაიბარებდნენ...

– ყოველ შემთხვევაში, ელჩი პირდაპირ ამას არ იტყვის...

– დელიკატურად გამოიძახებდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროში და ამგვარ განცხადებასთან დაკავშირებით კითხვებს დაუსვამდნენ. თუმცა, ვფიქრობ, ჩვენი მეგობარი ქვეყნების ელჩები ჩვენთან დაკავშირებით აბსოლუტურად კეთილი განზრახვით მოქმედებენ. არაკეთილი განზრახვა მათ არ აქვთ. ვფიქრობ, მათი განცხადებები ემსახურება იმას, რომ ხვალინდელ დღეს უფრო მომზადებული დავხვდეთ. უნდათ ქვეყანაში დემოკრატია, სამართლის პრინციპი მთავარი პოსტულატი იყოს. უპასუხისმგებლო ოპოზიციის პირობებში ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ყველაფერი.

– რას იტყვით ოპოზიციის იმ ბრალდებაზე, რომ ხელისუფლებამ იმდენი პოლიცია ვერ გამოიყვანა, ჟურნალისტები ძალადობისაგან დაეცვა.

– უპასუხისმგებლო ოპოზიციას მინდა ვუთხრა, რომ მაგისთვის არსებობს თუნდაც პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობა. მას შემდეგ, რაც მწყობრად ხალხს ნერვები დააწყვიტეს, პარლამენტში შებრძანდნენ. იმუშაონ მასალებზე და დაადგინონ, რა როგორ იყო.

სამინისტროში ნებისმიერი მოქმედება დოკუმენტურად აისახება. ბრძანება იქნება თუ სხვა დოკუმენტი, ყველაფრის ნახვა შეიძლება. თუ ისინი თვლიან, რომ პოლიცია არასაკმარისი იყო, შეამოწმონ. პოლიცია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოქმედებს. რა ოპერატიული ინფორმაციაც ჰქონდათ, იმის თანაზომადი პოლიციელი გამოიყვანეს აქციის დროს.

მერე ჩათვალეს, რომ სიტუაცია დაიძაბა და დაამატეს. პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობა იმიტომ არის, რომ თუ არ სჯერათ ოფიციალურად ხელისუფლების გადაწყვეტილებები, გამოიძიონ და შეისწავლონ.

– სხვათა შორის, აქ ერთი საკითხიც არის გამოსაძიებელი. შს მინისტრმა განაცხადა, რომ აქციები ბევრ ლოკაციაზე მიმდინარეობდა და ბევრი გამოძახება იყოო, მაგრამ მათ შორის ცრუ გამოძახებებიც დაფიქსირდა. თუ შს სამინისტრო არ გამოიძიებს, პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ მაინც უნდა გამოიძიოს, იმ პირობებში, როცა პოლიციელები არ ჰყოფნიდათ, ვინ და რატომ განახორციელა ცრუ გამოძახებები?

– დიახ, ამას ვამბობ. ოპოზიციაც უნდა იყოს დაინტერესებული, ყველაფერი გაირკვეს, მაგრამ არ აინტერესებთ.

– რატომ არ უნდა აინტერესებდეთ?

– არ არის გამორიცხული, ცრუ გამოძახებების გამოძიებისას პოლიტიკურად ანგაჟირებული პირები ამოვარდნენ. ამიტომ, ამ უპასუხისმგებლო ოპოზიციის შემყურე, ეს ქვეყანა კიდევ კარგ დღეშია.

– ვინმეს მიერ ორგანიზებული ჯგუფების მოქმედებას გამორიცხავთ?

– არ გამოვრიცხავ. არ გამოვრიცხავ, ხელისუფლებისთვის არაკეთილმოსურნე ჯგუფების მხრიდან პროვოცირებას. უფრო მეტსაც გეტყვით – კი არ გამოვრიცხავ, აქეთკენ ძალიან დიდად ვიხრები.

– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, რომ ასეთი ჯგუფები იყო.

– ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, ადამიანების გარკვეული ნაწილის ზღვარგადასული გავეშება, კითხვის ნიშნებს მართლა ბადებს. მომხდარი არავითარ შემთხვევაში ხელისუფლების წისქვილზე წყალს არ ასხამდა. ხელისუფლება თავისი თავის მტერი უნდა იყოს, ასეთი რამ თავის თავს გაუკეთოს.

– დილით ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მოსალოდნელი იყო ვითარების დაძაბვა, ანუ ინფორმაცია ჰქონდათ, რაღაც ჯგუფები შეიძლება აგრესიულად მოქცეულიყვნენ. მაინც რატომ ვერ მოხერხდა პრევენცია? პოლიცია რატომ ვერ გადაავჯგუფეს?

– პრემიერის სურვილი იყო, დაძაბულობა შეენელებინა და ლგბტ-ებს სხვა ლოკაცია შესთავაზა. ინფორმაცია რომ ყოფილიყო იმაზე, რაც აქციის დროს მოხდა, ბუნებრივია, ამას არ დაუშვებდნენ, მაგრამ დესტრუქცია პრობლემა ზუსტად იმიტომაა, რომ წინასწარ მისი გათვლა წარმოუდგენელია. მაშინ დესტრუქცია კი არა, ჩვეულებრივი პროცესი იქნებოდა, დესტრუქცია იმიტომაა, რომ ძნელია გათვლა და მერე მას უხერხულობები მოჰყვება.

„ღარიბაშვილის გადადგომა მეეჭვება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თემატიკა. ეს რომ არ იყოს, საზოგადოება ასეთ გაურკვევლობაში არ იქნებოდა. როგორც გითხარით, ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ეს თემა. პრაიდი ერთი სცენარის ერთი ნაწილია.

– საზოგადოების ნაწილი პრემიერ ღარიბაშვილის გადადგომას მოითხოვს.

– მოთხოვნა სწორია, მაგრამ საეჭვოა, ის გადადგეს. მედიის აქციაზე საკმაო რაოდენობით ხალხი გამოვიდა. ხელისუფლება რეაგირებს მხოლოდ უმძლავრეს და გრანდიოზულ პროტესტზე. ჯერჯერობით, არ ჩანს, რომ ხელისუფლება დათმობაზე მიდიოდეს. ხელისუფლებას ამ მომენტში არ ეშინია. ივანიშვილს პროტესტისადმი თავისი დამოკიდებულება აქვს. ის თითქმის ყოველთვის ცდილობს, არ დაჰყვეს პროტესტანტებს და არ შეასრულოს მათი მოთხოვნები. ივანიშვილთან ერთად, მიმდინარე პროცესებში მონაწილეობს რუსეთი. სხვათა შორის, ზაზა გახელაძის გათავისუფლება, რასაც ვულოცავ მთელ საქართველოს, ამ დროს შემთხვევით არ მომხდარა.

– კერძოდ?

– იმაში, რომ ზაზა გახელაძის საკითხი ყურადღების საგანი გახდა მსოფლიოში, არის მისი ოჯახისა და ახლობლების დამსახურება. რასაკვირველია, საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთზე მოახდინა ზეწოლა. მოსკოვის გარეშე ზაზა გახელაძის გამოშვება ვერ მოხდებოდა. რუსეთმა შეარჩია ეს დრო. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ გაემაგრებინა ირაკლი ღარიბაშვილის შერყეული პოზიცია. ახლანდელ პრემიერს პოზიცია ნამდვილად შეერყა. რუსეთმა გახელაძის გათავისუფლებით მას ზურგი გაუმაგრა.

– რუსეთს საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დაჩქარებაც ხომ არ უნდა?

– ზოგადად, რუსეთისგან ეს გასაკვირი არ იქნება. თუმცა, ქოცები კრემლს წარმატებით ემსახურებიან. უპრინციპო და მართული ხელისუფლება რუსეთს ჯერჯერობით აწყობს. თუ რუსეთი ჩათვლის, რომ ძველი ცოცხი აღარ გვის, იფიქრებს სხვებზე. მაგალითად, გახარიას, ანუ „გოცების“ მოყვანაზე.

– პოლიტიკოსების ნაწილი ამბობს, რომ შექმნილ სიტუაციაში ადგილობრივი არჩევნები აღარავის ახსოვს.

– გაიმართება თუ არა დადგენილ ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუ მმართველი პარტია თავდაჯერებული იქნება და იფიქრებს, რომ 43%-იან ბარიერს გადალახავს, არჩევნები არ გადაიდება. თუ საქმე ცუდად ექნება, მაშინ ხელისუფლებას ამისათვის საბაბის მონახვა არ გაუჭირდება. შეიძლება თქვას, რომ კორონავირუსის ახალი შტამი გვიტევს, მეოთხე ტალღა აგორდა. უკვე საუბრობენ შეზღუდვების შესაძლო განახლებაზე. ადრე ხელისუფლება ყოველთვის მოქმედებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამის მიხედვით აწესებდა და ხსნიდა რეგულაციებს. თუ დასჭირდა, მომავალშიც ასე გააგრძელებს.

გლდანში მამაკაცი ცოლისძმამ მოკლა

გეგი ნიგურიანის მკვლელობისთვის გეგი ღვაჩლიანი დააკავეს

14 ივლისს, საღამოს თბილისში მკვლელობა მოხდა – გლდანში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 35 წლამდე მამაკაცი მოკლეს.

მამაკაცს სასიკვდილო ჭრილობები ცოლისძმამ მიაყენა.

შემთხვევა გლდანის მეორე მიკრორაიონში მოხდა.

„კურიერი“ ესაუბრა ქალს, რომელმაც მამაკაცს გარდაცვალებამდე პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. ის ამბობს, რომ მოასწრეს სასწრაფოს გამოძახება, ის დროულად მოვიდა, თუმცა მამაკაცი სისხლისგან იყო დაცლილი და ადგილზევე გარდაიცვალა.

ადგილობრივების თქმით, მათ წინასწარ ხმაური არ გაუგიათ, იყო მხოლოდ ერთი სატელეფონო ზარი და შემდეგ ერთი გასროლის ხმა.

არც მოკლულს და არც დამნაშავეს უბანში არავინ იცნობს.

– ერთი ნასროლი ჰქონდა, სისხლისგან იცლებოდა და მერე გაცივდა საწყალი. ვერაფერი ვერ თქვა, აქ რომ ესროლეს, იქ წავიდა, მანქანასთან მივიდა და წაიქცა. ვერ მოასწრო მანქანაში ჩაჯდომა. არაფერი არ ვიცით, ვინ არის, რატომ მოვიდა აქ, – განაცხადა ერთერთმა ადგილობრივმა.

„ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას მეორე ადგილობრივმა თქვა:

– მაღაზიაში ვიყავი, სროლის ხმა გავიგე. ვიფიქრე, ბავშვები არიან, ან დაბადების დღეა თქო, გამოვედი მაღაზიიდან და მანქანასთან დავინახე გარდაცვლილი. 30-35 წლის მამაკაცი იქნებოდა, არ ვიცი, ვინ არის, ამ უბნელი არაა და არც ვიცნობთ. ქუჩაში არავინ იყო. ყველა ჩემს ყვირილზე გამოვიდა. კონფლიქტის ხმა არ გაგვიგია. გასროლილი ტყვია მანქანასაც მოხვდა. მგონი, გაიარა და ისე ესროლეს.

გუშინ, 15 ივლისს, პოლიციამ გლდანში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე გეგი ღვაჩლიანი დააკავა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 14 ივლისს, თბილისში, გლდანში, შურისძიების მოტივით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა – 1991 წელს დაბადებულ გ. მ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, გ.ღ. ცხელ კვალზე დააკავა. განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გეგი ღვაჩლიანი ციხიდან ცოტა ხნის წინ გამოვიდა. ამის შესახებ „ამბებს“ მესტიის მკვიდრმა განუცხადა.

ის მომხდარის ზუსტ მიზეზებზე ვერ საუბრობს, თუმცა ამბობს, რომ ღვაჩლიანი მისი დის მეორედ ქორწინების წინააღმდეგი იყო და მკვლელობის დღეს მისი და და მოკლული გეგი ნიგურიანი ახალი დაქორწინებულები იყვნენ.

– მკვლელობაში ბრალდებული გეგი ღვაჩლიანია, მოკლული კი – გეგი ნიგურიანი. ღვაჩლიანი გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერაში გაიზარდა, თუმცა წარმოშობით უშგულელია, მას უკარგესი, წესიერებისა და პატიოსნების განსახიერება მშობლები ჰყავს, თუმცა თვითონ აერია ცხოვრება. ღვაჩლიანი ციხიდან ახალი გამოსული იყო, როგორც ამბობენ, მას პათოლოგიური სიმთვრალე აქვს.

ნიგურიანს ღვაჩლიანის და უყვარდა, რომელსაც პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი ჰყავს. ძმა ეუბნებოდა თურმე, ერთხელ არ გაგიმართლა და მეტი ნუღარ გათხოვდებიო. როგორც შევიტყვეთ, გეგის ერთი დღის მოყვანილი ჰყოლია გოგო ცოლად, ანუ მკვლელობის წინა დღეს მოიყვანა. არ ვიცით, რით მოკლა და ზუსტად რა მოხდა, მკვლელობა თბილისში მოხდა. გეგი ნიგურიანი ახალი ჩამოსული იყო უკრაინიდან, ბოლო ხანს აქ არც იყო, ძალიან კარგი ბიჭი იყო, უპრობლემო, წესიერი. მხოლოდ იმიტომ მოკლა, რომ მისი და უყვარდა, – განაცხადა მესტიის მკვიდრმა.

ტყიბულში მომხდარ დაჭრაში ბრალდებული პოლიციამ თბილისში დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ტყიბულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარ სამმართველოსთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.რ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალად დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა ედება.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 7 ივლისს, ტყიბულში, გელათის ქუჩაზე, წარსულში არსებული უთანხმოების გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, ნაცნობი – 1987 წელს დაბადებული ა.ფ. სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა. ამის შემდეგ კ.რ. შემთხვევის ადგილიდან მეგობრის – 1974 წელს დაბადებული ზ.ს.-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კ.რ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში, თბილისში, ბრალდებულის სახით დააკავეს. კ.რ.-ის მეგობარი – ზ.ს. კი დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, მომხდარიდან მალევე, პოლიციის მიერ ტყიბულში იქნა დაკავებული.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ფოთის ნარკოლოგიურის თანამშრომელი ნათელა ღვინჯილია დააკავეს

ფოთში ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის თანამშრომელი ნათელა ღვინჯილია დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული მეტადონის პროგრამაში ჩართული პირებისათვის განკუთვნილ წამალს დოზებს აკლებდა და ყიდდა.

დაკავების ფაქტს ნარკოლოგიურში ღვინჯილიას თანამშრომლები ადასტურებენ, თუმცა დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებენ.

ქალი დოზებს სავარაუდოდ იმ პირებს აკლებდა, ვინც ოფიციალურად პროგრამაში ირიცხებოდნენ, ამიტომ ხშირი იყო უკმაყოფილება ბენეფიციარების მხრიდან.

გარდა ამისა, სავარაუდოდ, რაოდენობის გაზრდის მიზნით ქალი წამალს სხვა ნივთიერებებს ურევდა.

ღვინჯილია 14 ივლისს ბაზრის ტერიტორიაზე, საკუთარ მაღაზიაში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნას გულისხმობს.

პირველი არხის ოპერატორ ილიკო თვალიაშვილზე ძალადობისთვის გიორგი მაღრაძეს პატიმრობა შეეფარდა



საქართველოს პირველი არხის ოპერატორის, ილიკო თვალიაშვილის მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის გამო განხორციელებული დევნისა და ძალადობის ფაქტზე ბრალდებულ გიორგი მაღრაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, დავით კურტანიძემ, 15 ივლისს გამოაცხადა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დაკავებულისთვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას – პატიმრობას მოითხოვდა. პროკურატურა მაღრაძის მხრიდან მიმალვის, მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეებზე საუბრობდა.

საქმეზე მომდევნო სასამართლო პროცესი 2 სექტემბერს ჩაინიშნა.

გამოძიების ინფორმაციით, 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის დროს, ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე გიორგი მაღრაძე და მასთან ერთად მყოფი პირები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზნით და შეუწყნარებლობის მოტივით, თავს დაესხნენ საქართველოს პირველი არხის ოპერატორს ილიკო თვალიაშვილს.

კერძოდ, ბრალდებულები ოპერატორს ფიზიკური ძალადობითა და სიტყვიერი შეურაცხყოფით, პროფესიული საქმიანობის შეწყვეტას აიძულებდნენ, რათა მისი მხრიდან არ მომხდარიყო ბრალდებულთა მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებების გადაღება და გავრცელება.

ბესიკ თორდუა, რომელიც ასელ აიტპაევას გაუპატიურებისთვის იყო დაკავებული, გარდაიცვალა



საქართველოში გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილ 26 წლის ყაზახი ქალის, ასელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებული ბესიკ თორდუა გარდაიცვალა.

ბესიკ თორდუას ადვოკატი, ლაშა შუკაკიძე პენიტენციურ დაწესებულებას დაგვიანებულ რეაგირებაში ადანაშაულებს.

– დაახლოებით, ერთი კვირის წინ შემატყობინეს, რომ ბესიკ თორდუა გადაიყვანეს რეანიმაციულ განყოფილებაში. რამდენიმე დღის წინ მოვინახულე, შეერთებული იყო აპარატზე, გავესაუბრე ექიმს და მან განაცხადა, რომ თორდუას ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია და თავის არეში ჰქონდა დიდი რაოდენობით სისხლი. რაც შეეხება დანარჩენს, რა მოხდა და რამ გამოიწვია ეს ფაქტი, ამაზე ჯერ ინფორმაცია არ მაქვს.

მას თავიდან არანაირი ჩივილი არ ჰქონდა, როდესაც მას ვესაუბრე, ჩვეულებრივ მდგომარეობაში იყო. რაც შეეხება ექიმის განმარტებას, როდესაც თორდუა კლინიკაში მიიყვანეს, ის კონტაქტური იყო, და უბრალოდ გაბრუებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც გამოიწვია თავში დიდი რაოდენობით სისხლმა, რის შედეგადაც ჩაუტარდა მას ოპერაცია და ოპერაციის შემდეგ იყო კომატოზურ მდგომარეობაში. გუშინ შემატყობინეს, რომ გარდაიცვალა საღამოს საათებში. აპარატზე იყო შეერთებული, ალბათ, საავადმყოფომ, კონსილიუმმა გადაწყვიტა აპარატიდან გამორთვა.

ვაპირებ, რომ გამოვითხოვო დოკუმენტები, დავიწყო აღნიშნული საქმის შესწავლა და ექსპერტიზა, ალბათ, სამხარაულში ჩაუტარდება, – განაცხადა შუკაკიძემ.

კითხვაზე, პენიტენციურ დაწესებულებაში ხომ არ განხორციელდა მასზე ძალადობა, ადვოკატი აცხადებს, რომ ჯერ ვერაფერს გამორიცხავს, ვინაიდან არ იცის, რა მოხდა.

– ძალადობა და მსგავსი რამე არ ხორციელდებოდა, მაგრამ ვინაიდან მე დაზუსტებით არც ერთი ინფორმაცია არ მაქვს, ვერც ერთ ინფორმაციას ვერ დავადასტურებ და ვერ უარვყოფ.

თორდუას ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემა არ ჰქონდა, რომელზეც ჩემთან ისაუბრებდა, თავს ჩვეულებრივ, კარგად გრძნობდა. ბოლოს სასამართლო ჰქონდა და სასამართლოზე ჩვეულებრივად ჩაერთო. ყველაზე მინიმუმ მიმაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეში, ვინაიდან თავში დიდი რაოდენობით სისხლი იყო და თუ ექსპერტიზა იტყვის, რომ ეს იყო გაჟონვა, მიმაჩნია, რომ ყველაზე ცოტა, სასჯელაღსრულებამ რეაგირება დაადგინა, რამაც შესაძლოა, გარდაცვალება გამოიწვია, – აცხადებს შუკაკიძე.

ტვ პირველის ოპერატორის ცემისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობის, ასევე, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის და ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე კიდევ 2 პირი – 1988 წელს დაბადებული ვ. ბ. და 1988 წელს დაბადებული დ. ქ. დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ვ.ბ.-მ მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, რევაზ თაბუკაშვილისა და გიორგი ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე, „ტვ პირველის“ ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ბრალდებულმა დ.ქ.-მ იმავე დღეს რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

ამ დროისთვის, 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისთვის სულ დაკავებულია 23 პირი, კერძოდ:

• ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობის და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე დაკავდა 19 პირი;

• „თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე დაკავებულია 3 პირი;

• 1 პირი კი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა.

ბათუმში ბანკის მენეჯერმა ბანკს 3 მილიონ ლარზე მეტი მოპარა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ერთ-ერთი კომერციული ბანკის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე, ამავე ბანკის ბათუმის ფილიალის ყოფილი მენეჯერი დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, 2015 წლიდან 2021 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდში, დაამზადა ანაბრის გახსნისა და დახურვის ყალბი ხელშეკრულებები, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები, რა გზითაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ბანკის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ მითვისებული თანხა ჯამში შეადგენს 2.467.667 ლარს, 180.480 აშშ დოლარს და 80.000 ევროს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

2021, 16 ივლისი, №129

ნიკოლ ფაშინიანი: „სომხეთი დაიცავს საკუთარ სუვერენიტეტს“

სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, აზერბაიჯანი ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ სომხეთი მშვიდობასა და სამშვიდობო შეთანხმებას ეწინააღმდეგება.

– მსურს, კიდევ ერთხელ ოფიციალურად განვაცხადო, რომ სომხეთი მზადაა განაახლოს ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესი „მინსკის ჯგუფის“ თანათავმჯდომარეების განცხადების ფორმატით და შინაარსით. ვფიქრობ, რომ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას ურჩევნია მოუსმინოს მედიატორების მოწოდებებს, ნაცვლად არაკონსტრუქციული მოქმედებებისა და განცხადებებისა და გამოხატოს მკაფიო პოზიცია თანათავმჯდომარეების განცხადების მიმართ, – აღნიშნა ფაშინიანმა.

მისი თქმით, რუსეთ-სომხეთ-აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერების სამუშაო ჯგუფი ახორციელებს საკმაოდ კონსტრუქციულ და პროდუქტიულ სამუშაოებს რეგიონული კომუნიკაციების განბლოკვის მიზნით, ხოლო აზერბაიჯანის განცხადებებს „ზანგეზურის დერეფნის“ შესახებ არანაირი კავშირი არ აქვს ამ ჯგუფის მუშაობასთან.

– აზერბაიჯანი აკეთებს განცხადებებს დერეფანთან დაკავშირებით, რათა ჩაშალოს სამხრივი სამუშაო ჯგუფის მუშაობა და არ დაუშვას რეგიონული კომუნიკაციების გახსნა, რადგან მისი მიზანია სომხეთის ბლოკადის 30-წლიანი პროცესის პოლიტიკის გაგრძელება, მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ სამმხრივ სამუშაო ჯგუფში მუშაობას ამ ბლოკადის მოსახსნელად. პარტნიორების დახმარებით შევძლებთ რეგიონული კომუნიკაციების გახსნას, – განაცხადა ფაშინიანმა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანი ეწინააღმდეგება დემარკაცია-დელიმიტაციის სამუშაოებს, წარადგინა ყალბი რუკები და ცდილობს, გაამართლოს თავისი ჯარების ყოფნა სომხეთის სუვერენულ ტერიტორიაზე.

ფაშინიანის განცხადებით, სომხეთი დაიცავს საკუთარ სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის სომხურ-რუსული ერთობლივი ჯარების და „კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების“ მექანიზმის გამოყენებით.

ევროკავშირი უნგრეთსა და პოლონეთს ლგბტქ თემის დისკრიმინაციისთვის სასამართლოში უჩივის

ევროკომისიამ უნგრეთისა და პოლონეთის ზოგიერთი რეგიონის წინააღმდეგ ლგბტქ თემის დისკრიმინაციის გამო სამართლებრივი დავა დაიწყო.

კომისიამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც უნგრეთის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომელიც არასრულწლოვნებისთვის ლგბტქ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას კრძალავს. პოლონეთში კი 100-ზე მეტმა რეგიონმა თავი გამოაცხადა „ლგბტქ იდეოლოგიისგან თავისუფალ ზონად“, რამაც ბლოკში კრიტიკა გამოიწვია.

„ევროპა არასდროს დაუშვებს ჩვენი საზოგადოების ნაწილის სტიგმატიზაციას. თანასწორობა და ღირსებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა ევროკავშირის ძირითადი ფასეულობებია. კომისია გამოიყენებს თავის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს ამ ღირებულებების დასაცავად“ – ნათქვამია ევროკომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უნგრეთსა და პოლონეთს საპასუხოდ ორი თვე მიეცათ.

ევროკომისიას უფლება აქვს გამოიყენოს სამართლებრივი ზომები წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ, თუ თვლის, რომ ისინი არღვევენ ბლოკის კანონებს. ამ პროცესმა საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს დიდი ჯარიმების დაწესება.

ბრიტანეთი მზადაა, თალიბებთან ითანამშრომლოს

დიდი ბრიტანეთი მზადაა, რომ თალიბებთან ითანამშრომლოს. ამის თაობაზე ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლესმა განაცხადა.

– თუ თალიბები ხელისუფლებაში მოვლენ და ადამიანის უფლებებს არ დაარღვევენ, ჩვენ მზადა ვართ, მათთან ვითანამშრომლოთ, – აცხადებს უოლესი.

ამავე დროს, ის ავღანელები, რომლებიც ამერიკელ სამხედროებთან თანამშრომლობდნენ, ქვეყანას დატოვებენ. ამის თაობაზე ბაიდენის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა.

– ჩვენ ამ ხალხს ბედის ანაბარა არ მივატოვებთ! – ამბობს ამერიკელ პოლიტიკოსი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

რუსთაველის თეატრი რეზო გაბრიაძის იუბილეს აღნიშნავს



25 ივლისს, რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე, რუსთაველის ეროვნული თეატრი და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე რეზო გაბრიაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს ჩაატარებს.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ „გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი, დირიჟორი ანდრეი ბორეიკო და სოლისტები პოლინა ოსეტინსკაია (ფორტეპიანო), ელმირა აივაზიანი (საყვირი), იულიან მილკისი (კლარნეტი).

ჩარგალში „ვაჟაობა“ გაიმართა

ვაჟა-ფშაველას მშობლიურ სოფელ ჩარგალში ტრადიციული „ვაჟაობა“ გაიმართა. წელს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 160 წელი შესრულდა.

საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა ქადის გატეხვის ტრადიციული ცერემონია და ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის ავტორობით გამოცემული ორენოვანი კრებულის „ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე“ პრეზენტაცია. წიგნის შესახებ ავტორებმა და ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ისაუბრეს.

საიუბილეო საღამოს ფარგლებში რუსთავის თეატრმა სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“ ითამაშა, რომლის რეჟისორიც სოსო ნემსაძეა.

ჩარგალში სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ 1961 წლიდან აღინიშნება და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ ადამიანებს აერთიანებს.



შოთა იათაშვილის რომანი აზერბაიჯანულად ითარგმნება

ქართველი პოეტის შოთა იათაშვილის სადებიუტო რომანი „დამწყები“ აზერბაიჯანულად ითარგმნება.

სასიხარულო ინფორმაცია ავტორმა თავად გაავრცელა:

– ჩემი რომანი „დამწყები“ აზერბაიჯანულად ითარგმნება. ეს მისი პირველი „გარეთ გასვლა“ იქნება, და ცხადია, მიხარია. იმედია, ამას თანდათან სხვა გასვლებიც მოყვება, ჯერ ხომ მისი გამოცემიდან ერთი წელიც არ გასულა. რაც მთავარია, მიხარია, რომ ის ძალიან სანდო ადამიანების ხელში მოხვდა. თარგმნის ჩვენთვის, ყველასთვის ძვირფასი და არაჩვეულებრივი იმირ მემედლი, ხოლო გამოსცემს ჩემი მეგობარი, შესანიშნავი პოეტი და გამომცემელი რასიმ გარაჯა.

თავისთავად დიდი მადლობა მწერალთა სახლის გუნდს, რომ მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ამ საჭიროზე საჭირო პროექტს აგრძელებს ბევრ სხვა მშვენიერ პროექტთან ერთად!

სპორტი

ბასკონია აკადემიას ვერის ბაღში გახსნის



საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და ესპანურ კონცერნ სასკი ბასკონიას შორის თანამშრომლობა გრძელდება.

ვერის საკალათბურთო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ცნობილი ესპანური კლუბის საკალათბურთო კემპი დაიწყო. პრესკონფერენციას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, სასკი ბასკონიას გენერალური დირექტორი ხესუს ვასკესი და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი გოჩა აბზიანიძე ესწრებოდნენ.

კემპი ევროპის წამყვანი სპეციალისტების ჩართულობით მიმდინარეობს და მისი მიზანი პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშეების შერჩევაა. აღსანიშნავია, რომ კემპზე ბავშვებთან ერთად, ახალგაზრდა ქართველ მწვრთნელებსაც ეძლევათ საშუალება, აიმაღლონ სამწვრთნელო კვალიფიკაცია.

კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, წლევანდელი კემპი წინა სეზონებისგან განსხვავებული სისტემით ტარდება – ორგანიზატორებმა, საქართველოში მოქმედ თითოეულ საკალათბურთო სკოლას, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, რაოდენობრივი კვოტა დაუწესეს და მონაწილეთა წარდგენის საშუალება მისცეს. შესაბამისად, თავად კლუბებმა და სკოლებმა გადაწყვიტეს, თუ ვის უნდა მიეღო ბასკონიას კემპში მონაწილეობა, სადაც ესპანელები საუკეთესო კალათბურთელებს აარჩევენ და მათ კონტრაქტს გაუფორმებენ.

ესპანურ კორპორაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, უახლოეს პერიოდში, საქართველოში, კერძოდ, ვერის საკალათბურთო დარბაზში, ბასკონიის აკადემია გაიხსნება. კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ორიენტირი ახალგაზრდა, მომავალი თაობაა და საქართველოში ბასკონიის აკადემიის პროექტი უმნიშვნელოვანესია მოზარდი სპორტსმენებისა და ზოგადად, კალათბურთის განვითარებისთვის.

კემპზე ვარჯიშების ჩასატარებლად თბილისში ბასკონიას სკოლის 3 მწვრთნელია ჩამოსული: ხოან გუჩო, ინიგო ორტეზი და სამუელ კონდე. მათ ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელები ეხმარებიან. ესენი არიან: ირაკლი ჩერქეზიშვილი, გიორგი ჩაჩხიანი, ანდრო ანთელიძე და საბა ჯაყელი.

კემპში 135 მოზარდი მონაწილეობს (2006, 2007 და 2008 წლებში დაბადებული ბავშვები), რომლებიც ასაკების მიხედვით 4 ჯგუფად არიან განაწილებულნი და მთელი დღის მანძილზე მონაცვლეობით სხვადასხვა ვარჯიშები უტარდებათ.

დონარუმა პსჟ-ში 2026 წლამდე ითამაშებს

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა, ჯანლუიჯი დონარუმამ იტალიური მილანი დატოვა და თამაშს პარი სენ ჟერმენში გააგრძელებს. ფრანგულმა კლუბმა ტრანსფერი უკვე დაადასტურა.

კონტრაქტი 2026 წლამდეა გათვლილი და დონარუმა ანაზღაურების სახით სეზონში 12 მილიონი ევროს მიიღებს. საინტერესოა, რომ მილანელებს ევროპის ჩემპიონ ფეხბურთელში ერთი ცენტიც არ აუღიათ და პარიზელებს ის თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ისეთ დიდ კლუბში მოვხვდი, როგორიც პარი სენ ჟერმენია. მზად ვარ ახალი გამოწვევისთვის და აქ განვითარებისთვის. მინდა, პარიზში რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო და გულშემატკივრები გავახარო, – განაცხადა დონარუმამ.

შეგახსენებთ, რომ დონარუმა მილანის აღზრდილია და მთავარ გუნდში 2015 წლიდან 251-ჯერ ითამაშა.

ისე, მილანში ნათამაშევი ფეხბურთელი პსჟ-ს დიდ კლუბს რომ უწოდებს, ცოტა გასაკვირია, რადგან ევროპაში ტიტულების მხრივ პსჟ მილანთან ახლოსაც ვერ მივა.

2 რუსი მოცურავე ტოკიოს ოლიმპიადიდან მოკვეთეს

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთიდან 130 სპორტსმენია დაშვებული. თუმცა, არა რუსეთის სახელით, არამედ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ინგლისურენოვანი აბრევიატურით. აკრძალული ექნებათ სრული სახელწოდება – რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის, გამოყენება. გამარჯვების შემთხვევაში არ აღიმართება რუსეთის დროშა და არ დაიკვრება რუსეთის ჰიმნი. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ რუსები აკრძალულ ნივთიერებებს იყენებდნენ, რათა გამარჯვებებისთვის მიეღწიათ.

თუმცა, როგორც ჩანს, რუსებმა ჭკუა ვერ ისწავლეს და დოპინგის წესების დარღვევის გამო, ტოკიოს ოლიმპიური თამაშებიდან უკვე 2 მოცურავე იქნა დისკვალიფიცირებული – ვერონიკა ანდრუსენკო და ალეკსანდრე კუდაშევი ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ ოლიმპიადიდან მოკვეთა.

ასევე გავრცელებულია ინფორმაცია, რომ ტოკიოში რუს მძლეოსნებს განსაკუთრებით დააკვირდებიან, რადგან ისინი ყველაზე მეტჯერ სპორტის ამ სახეობაში ჩავარდნენ.

მხატვარი ანტონ ფილიპოვი 100 წლის გახდებოდა



საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ყოფილი მთავარი მხატვარი ანტონ ფილიპოვი 100 წლის გახდებოდა.

ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, თბილისის სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორატიულ ფაკულტეტზე ისწავლა. იგი ათწლეულების მანძილზე მოღვაწეობდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მთავარ მხატვრად. ბათუმისა და საქართველოს სხვა თეატრებში მას მხატვრულად გაფორმებული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი. მისი შემოქმედება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სცენოგრაფიით, იგი აქტიურად მოღვაწეობდა როგორც ფერმწერი და გრაფიკოსი. იუბილარ მხატვარს მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოფენებში.

1970 წლიდან გარდაცვალებამდე ანტონ ფილიპოვი ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგად მუშაობდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

დინამო კავკასიური დერბი წააგო

ნეფთჩი-დინამო (თბ) 2:1

ბაქო. ბაქსელ არენა

0:1 რადინი (51), 1:1 მაჰმუდოვი (58პ), 2:1 ალესკეროვი (68)

ნეფთჩი: მამედოვი, ჩელიქი, მბოჯი, სტანკოვიჩი, ბულიდოვი, მაჰმუდოვი, კანე, ბუგრენი (ნაჯაფოვი 76), ლავალი, მეზა კოლი (არამიში 72), ალესკეროვი (აბასოვი 90)

დინამო: კვასხვაძე, სპორკსლედე (მორჩილაძე 69), ხვადაგიანი, პაპავა, ბენიო, ხარაბაძე (ქავთარაძე 90), კუცია (ოსეი 69), ქარდავა (მექვაბიშვილი 74), რადინი (იაშვილი 90), გაბედავა, მარუშიჩი

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზევე თბილისის დინამომ ბაქოს ნეფთჩისთან სტუმრადაც იმ ანგარიშით წააგო, როგორც შინ – 1:2. წააგო ისევ სულელური შეცდომებით.

არადა, მატჩის წინ კახა ცხადაძემ განაცხადა, რომ თუ ფატალურ შეცდომებს არ დავუშვებთ, შანსი გვექნებაო. როგორც ჩანს, დინამოელთა მწვრთნელს ეჭვად ჰქონდა, რომ ასე იქნებოდა.

არადა, დინამო ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირში ზედიზედ მეექვსედ დამარცხდა. ეს მარტო ფეხბურთელების ფატალური შეცდომების ბრალი არ უნდა იყოს – დინამოს მარცხში სხვისი წვლილი უფრო მეტია.

საქართველოს ჩემპიონს აზერბაიჯანის დედაქალაქში აუცილებლად გატანა და სულ ცოტა, ერთბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებოდა, რითაც თამაშს დამატებით დროში გადაიყვანდა. მე-2 ტაიმის დასაწყისში იყო ასეთი მომენტი, მაგრამ... შემდეგ კი, მოხდა ის, რასაც დიდი ხანია გავიძახით – საქართველოს საუკეთესო გუნდს სათამაშო კლასი აკლია. ნეფთჩიმ ძალიან მარტივად მოახერხა წინ გასვლა და მატჩის მოგება.

არადა, ნეფთჩი არ ჰგავდა დაუმარცხებელ გუნდს და დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ დინამო უფრო სუსტი გამოდგა.

ცხადაძემ პირველი მატჩის სასტარტო შემადგენლობა უცვლელი დატოვა. მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და პირველი ნახევარი საათი დინამო ძირითადად თავს იცავდა. მოგვიანებით დინამოელებიც გააქტიურდნენ და უშანსოდ არ ყოფილა – შესვენებამდე გატანა. გიორგი გაბედავა 2-ჯერ დაემუქრა მეტოქის კარს.

მე-2 ტაიმი დინამო თბილისმა კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო და მიზანსაც მიაღწია. ანგარიში მილან რადინმა გახსნა. გოლის მომენტში ჯერ ლევან ხარაბაძემ მოარტყა ბურთი ხარიხას, შემდეგ გიორგი კუციამ – ძელს, ბოლოს ბაქოელმა მცველმა ბურთს ფეხი აცილა, საჯარიმოდან ვერ გამოიტანა და რადინმა დასაჯა – 0:1.

დინამომ გოლები მალევე გაუშვა. ბაქოელი მცველის შეცდომა როინ კვასხვაძემ „გამოასწორა“. თბილისელთა მეკარემ თანაგუნდელის მიწოდებული ბურთი კარგად ვერ მიიღო, პირდაპირ მეზა კოლის ჩააბარა, შემდეგ კი წესების დარღვევით შეაჩერა და პენალტი დაინიშნა. 11 მეტრიდან ემინ მაჰმუდოვმა თბილისის მსგავსად ბაქოშიც გაუტანა კვასხვაძეს – 1:1.

ანალოგიურად მოიქცა ნამიქ ალესკეროვი, რომელიც დინამოელთა საჯარიმოში კარგად გაერკვა, ორ მცველს მარტივად შემოუტრიალდა და შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა – 2:1.

ახლა დინამო კონფერენციის ლიგაზე გადავა, სადაც მეტოქედ ჰაიფას მაქაბი ეყოლება.

კახა ცხადაძე:

– ძნელია, რამე თქვა, როცა 4 გოლს უშვებ 2 შეხვედრაში და აქედან 3, ფაქტობრივად, შენს კარში გაგაქვს. არ შეიძლება ასეთი შეცდომების დაშვება, აუცილებლად დაისჯები. ნეფთჩის ჰყავს კარგი ფეხბურთელები, ისინი მაღალი დონის შემსრულებლები არიან და მინდა მათ მივულოცო შემდეგ ეტაპზე გასვლა.

ამ 2 შეხვედრაში დინამომ აჩვენა კარგი თამაში, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ – არავინ გაპატიებს ასეთ შეცდომებს. ზოგადად, ის გუნდი იგებს, რომელიც ნაკლებად ცდება. ფეხბურთი არის გუნდური თამაში. ამიტომ ყველამ წავაგეთ.

სამირ აბასოვი:

– მადლობა გულშემატკივრებს. ისინი მოგვენატრნენ. მჯერა, გუნდი თანდათან მოუმატებს. ზოგადად, სასურველი თამაში ვერც ერთ შეხვედრაში ვერ ვაჩვენეთ. აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ ხარისხი.

ქართველ ჯიუდოისტებს ოლიმპიადაზე მედლის კანდიდატებად მოიხსენიებენ

ჯიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდმა, ტოკიოს ოლიმპური თამაშებისთვის პროგნოზების გაკეთება დაიწყო. ვებგვერდზე ჯერჯერობით მხოლოდ 60, 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჯიუდოისტებზეა საუბარი.

სამივე წონაში ქართველ ფალავნებს მედლის კანდიდატებად განიხილავენ.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვების მთავარი კანდიდატები რობერტ მშვიდობაძე (რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი) და ტაკატო ნაოშისა (იაპონია) იქნებიან. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ლუხუმ ჩხვიმიანი, რომელიც 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონია. მისმა შოკისმომგვრელმა გამარჯვებამ ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე დაამტკიცა, რომ მან იცის, როგორ მოიგოს ოლიმპიადა. მას ყველა შანსი აქვს, რომ ტოკიოში მოგებული ოქროების რაოდენობა გააორმაგოს. ქართველი ჯიუდოისტი ამჟამად რეიტინგში მე-10 ადგილზე (ოლიმპიადაზე მე-7 ნომრად არის განთესილი) იმყოფება, მაგრამ 2 წლის წინანდელი ფორმის დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ტოკიოში ოქროს მედალი მოიპოვოს.

66 კილოგრამ წონითი კატეგორიის ოქროს მედლის მთავარი კანდიდატი იტალიელი მანუელ ლომბარდოა. დღევანდელი გადმოსახედიდან, იტალიელს მთავარ ბრძოლას სამხრეთ კორეელი ან ბაული გაუწევს. მათ შემდეგ მოდის იაპონელი ჯოშირო მარუიამა. ასევე მედლისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებენ ვაჟა მარგველაშვილს. ქართველი ჯიუდოისტი აღნიშნულ წონაში წლებია საუკეთესოთა ხუთეულშია. მან ბოლოს ოქროს მედალი 2018 წელს მოიპოვა, მაგრამ ამ პერიოდში სხვადასხვა ტურნირების პრიზიორი სისტემატურად ხდებოდა.

შოჰეი ონო 73 კილოგრამი წონითი კატეგორიის იაპონელი ტედი რინერია, რომელმაც ბოლოს 2013 წელს წააგო. ამ წონაში ონოს შემდეგ რუსტამ ორუჯოვი გვახსენდება, რომელიც აუცილებლად ოქროსთვის იბრძოლებს. ორუჯოვის შემდეგ სამხრეთკორეელ ჩანგრიმ ანის ახსენებენ. და, რა თქმა უნდა, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი.

უკომპლექსო – ასე შეიძლება დავახასიათოთ ქართველი ჯიუდოისტი. ფსიქოლოგიურად ონოს დამარცხება მხოლოდ ქართველს შეუძლია. ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ბრწყინვალე კარიერაში მხოლოდ ონოსთან შესრულებული იპონი აკლია, რომელიც შესაძლოა, ყველაზე რთულიც აღმოჩნდეს.

ოლიმპიურ თამაშებზე ჯიუდო 24 ივლისს დაიწყება და 31 ივლისს დასრულდება. საქართველო 9 ჯიუდოისტით იქნება წარდგენილი – 7 ვაჟი, 2 ქალი. პირველ დღეს ტოკიოს ტატამზე საქართველოს სახელით ლუხუმ ჩხვიმიანი იასპარეზებს.

სანდრო მამუკელაშვილი: „იმედი მაქვს, დრაფტის დღეს ოჯახთან ერთად ვიზეიმებ“

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) მორიგი დრაფტი 29 ივლისს ბრუკლინში, ბარკლაის ცენტრში გაიმართება.

დრაფტის წინ, სანდრო მამუკელაშვილმა ამერიკულ მედიას ბევრი საინტერესო დეტალი გაუმხილა.

სანდრო მამუკელაშვილი:

– დრაფტზე დადგომის შემდეგ საინტერესო თვეები გავიარე. თავიდან იყო ვარჯიშები მაიამიში, როგორც მოედანზე, ისე, მის გარეთ. ამ ყველაფერზე ჩემმა სააგენტომ იზრუნა. ვფიქრობ, სააგენტო ძალიან კარგ საქმეს აკეთებს, მუდამ ფორმაში მამყოფებს.

პირველი ვორქაუთი ივნისში მქონდა და მას მერე სულ გზაში ვარ. ვეცნობი ნბა-ს კლუბებს და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩიკაგოს დრაფტ კომბაინზე მოხვედრა ბევრის ოცნებაა. ჩემთვის იქ მიწვევა უკვე ბევრს ნიშნავდა. ჩიკაგოში გატარებული ყოველი წუთის მადლიერი ვარ.

ვმუშაობ საკუთარ თავზე, რომ უკეთესი კალათბურთელი გავხდე. ამ დროისთვის ვორქაუთი 9 კლუბში მქონდა. კიდევ რამდენიმე დამრჩა დრაფტამდე. მოხარული ვარ, რომ ეს შესაძლებლობები მომეცა. ტონი კუკოჩი ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი კალათბურთელია, ვცდილობ, მას და დომანტას საბონისს ბევრ რამეში მივბაძო. მესმის, რომ დრაფტზე ზოგს ეჭვი ეპარება ჩემს ათლეტიზმში, ზოგი ეჭვობს, რომ სათანადო დაცვას არ ვთამაშობ. ასე ხდება ყველასთან მიმართებაში, გამონაკლისი არც მე ვარ. რა თქმა უნდა, ბევრი ნაკლი მაქვს, მაგრამ მზად ვარ მოსასმენად, სასწავლებლად და ყველა ამ ნაკლის გამოსასწორებლად. თუ რომელიმე კლუბი ეძებს მოთამაშეს, რომელსაც ნაკლი არ აქვს, დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ ვერ იპოვის. ვეძებ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მენდობა, რომელიც დამეხმარება ამ ნაკლების გამოსწორებაში.

თავად კლუბები ვორქაუთებზე ძალიან დადებითად მაფასებენ. სიმართლე გითხრათ, გამოხმაურებები იმდენად კარგია, რომ ბედნიერი ვარ ყოველ გუნდში გავლილი ვარჯიშების გამო. გავიცანი მწვრთნელები, კლუბების შეფები, დამოკიდებულება ყველგან საოცარი იყო. ეს არის საოცარი გამოცდილება. კლუბების რეაქცია ძალიან კარგია.

დრაფტის დღეს ჩემს გვარს თუ გავიგებ, ჩავთვლი, რომ დიდი ხნის შრომა დამიფასდა და ოცნება ამისრულდა. თუ 29 ივლისს ჩემს გვარს გამოაცხადებენ, 30-დან უნდა დავიწყო უფრო მეტი შრომა მიზნის მისაღწევად. ეს იქნება ჩემი ოჯახისთვის და ჩემი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა.

დრაფტდამდე კიდევ რამდენიმე კლუბში მეპატიჟებიან. ესენია: მილუოკი, ტორონტო, ორლანდო, ლეიკერსი, დალასი... ეს დიდებული პროცესია, ცოტა სევდიანად ვარ, რომ ყველაფერი დასასრულისკენ მიდის, რადგან დრაფტი ახლოვდება. იმედი მაქვს, დრაფტის დღეს ოჯახთან ერთად ვიზეიმებ.

თუ ამირჩევენ, აიზეა უაითჰედის შემდეგ სეტონ ჰოლის პირველი კალათბურთელი ვიქნები, ვინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვდება. იმედი მაქვს, რომ ამით სეტონ ჰოლის პრესტიჟიც გაიზრდება და მის მოთამაშეებს მომავალში მეტ ყურადღებას მიაქცევენ.

გეტყვით იმასაც, რომ ნბა-ში მოხვედრა სურს კიდევ ერთ ქართულ ფესვების მქონე კალათბურთელს – 22 წლის გიორგი ბეჟანიშვილს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, მოახლოებული დრაფტის წინ სხვადასხვა კლუბებს თავი მოაწონოთ და მათ ვორქაუთებშიც აქტიურად მონაწილეობენ.

ილინოისის ყოფილმა ფორვარდმა უკვე ივარჯიშა ლოს ანჯელეს ლეიკერსის მიწვევით და ეს საკმაო მოულოდნელობად იქნა მიჩნეული, რადგანაც კალიფორნიელებს მაშინ მხოლოდ 6 კალათბურთელი ჰყავდათ შერჩეული.

ასევე მოასწრო ვორქაუთზე ყოფნა მილუოკი ბაქსსა და მემფის გრიზლისში. როგორც იწერება, ბეჟანიშვილი ატლანტა ჰოუქსმაც მიიწვია და იქ დააკვირდებიან.

ამის მიუხედავად, გიორგის დრაფტზე არჩევის შანსი ძალიან მცირეა, თუმცა, ამერიკელები მის უდიდეს მონდომებასა და მოტივაციას გამოარჩევენ და წერენ, რომ შესაძლოა, ქართველს თავის გამოჩენის შანსი საზაფხულო ლიგაში ანაც ჯეი ლიგის გუნდში მიეცეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ **ლამარა თოდუას**
„მადლიერების წიგნი“
ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 2. პორტატული მფრინავი აპარატი; 3. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ქართული სპორტული რადიო; 5. კურორტი რაჭაში; 6. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია; 9. მონასტერი ქვემო ქართლში; 10. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 11. კუთხე საქართველოში; 14. ერთერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 16. კომბინაცია პოკერში; 18. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 20. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 23. მდგომარეობა ჭადრაკში; 24. იამაიკელი პოპ-ვარსკვლავი მამაკაცი; 25. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი; 26. კათოლიკური მღვდელმთავრები.

თარაზულად: 7. ძვირფასი ქვა; 8. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 13. მთამსვლელთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 15. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 17. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის რაიონში; 19. მგალობელი ჩიტი; 21. ფრანგი ფილოსოფოსი; 22. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ; 27. ნიანგის ერთერთი სახეობა; 28. გერმანული ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჭოროხი; 2. თუშეთი; 3. აპოთეოზი; 4. მიტენი; 6. ლოველასი; 8. პრიზმა; 11. ტალავარი; 12. მუტაცია; 16. ჭინკა; 17. ტანგო; 18. შერპი.

თარაზულად: 1. ჭიათურა; 5. გუელი; 7. ოპუნცია; 9. ომმეტრი; 10. ვერსაჩე; 13. მენზულა; 14. ოაზისი; 15. იუტა; 19. მარტინი; 20. საფერავი; 21. გარპაგონი; 22. ფინეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბედია; 2. ქლესა; 3. სალხინო; 4. გიტი; 5. ყელი; 6. ჭინჭილა; 9. მანდარინები; 10. ანტრაციტი; 11. კომუნიზმი; 14. პემზა; 16. გნომი; 18. ნიგერია; 20. იალბუზი; 23. ლოსი; 24. მარსი; 25. შხამი; 26. კინო.

თარაზულად: 7. სამშვილდე; 8. ვეგეტაცია; 12. დიუნა; 13. ლობიო; 15. როდეო; 17. მიხაილოვო; 19. ქანდა; 21. აგუტი; 22. იმოლა; 27. ფილოქსერა; 28. ფარნავაზი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი	— 3.1430
ევრო	— 3.7084
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	— 4.3603
100 რუსული რუბლი	— 4.2381

ამინდის პროგნოზი 16 ივლისისათვის



ლევანდოვსკი შესაძლოა მანჩესტერ სიტიში გადავიდეს

მიუნხენის ბაიერნის პოლონელი ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი შესაძლოა მომავალ სეზონში მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გახდეს, იმ შემთხვევაში, თუ ბაიერნი მასთან ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს. ბაიერნი კი ჯერჯერობით ამის გაკეთებას არ აპირებს, რადგან ლევანდოვსკი 32 წლის არის და მისი საუკეთესო წლები უკვე წარსულს ჩაბარდა. შესაძლოა, ბაიერნი თავის პოლონელ ფორვარდს დაემშვიდობოს კიდეც.

რაფაელ ვარანი პსჟ-ში?

მადრიდის რეალის ფრანგი ცენტრალური მცველი რაფაელ ვარანი ზაფხულში გუნდს დატოვებს და ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ის კარიერას. ერთ-ერთი ვარიანტი მანჩესტერ იუნაიტედია, თუმცა ბოლო პერიოდში ეს ტრანსფერი ჩიხში შევიდა და შესაძლოა ჩაიშალოს კიდეც.

ვარანს კიდევ ერთი ვარიანტი აქვს პსჟ-ს სახით და, სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი არ ჩაიშლება, თუმცა ვარანს ჯერჯერობით ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

ატლეტიკო და ბარსელონა საულს და გრიზმანს გაცვლიან

მადრიდის ატლეტიკო და ბარსელონა სულ მალე ახალ ტრანსფერს გამოაცხადებენ.

გუნდები გაცვლას აპირებენ. კერძოდ, ბარსელონას საულ ნიგესი შეუერთდება, გრიზმანი კი ატლეტიკოში დაბრუნდება.

გუნდები გაცვლაზე თანახმა არიან და ფეხბურთელებმაც უკვე შეათანხმეს პირადი კონტრაქტის პირობები.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სანდრო გეგეჭკორმა ესპანეთში გაიმარჯვა

20 წლის პიანისტმა სანდრო გეგეჭკორმა ესპანეთში გამართულ მარია კანალსის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა. მან პირველი პრემია და მსმენელის სპეციალური პრიზი მიიღო.

კონკურსში მთელი მსოფლიოდან 400 მუსიკოსი მონაწილეობდა, კონკურსი რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. სანდრომ ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა, სამ რჩეულ ფინალისტს შორის მოხვდა და პირველი პრემიაც დაიმსახურა.

კონკურსის გამარჯვებული ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით კონცერტებს გამართავს.

ასტროპროგნოზი

16 ივლისისათვის

ვერძი – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

საავადმყოფოში მამაკაცს მომვლელმა ქალმა სამზარეულოდან ერთი ნაჭერი პური, ერთი კოვზი ფაფა, ნახევარი პამიდორი და ნახევარი მოხარშული კვერცხი მოუტანა პალატაში. მამაკაცმა ამ ყველაფერს გადახედა და ეკითხება:

– საფოსტო მარკა გაქვთ?

– და მარკა რისთვის გინდათ?

– სადილის მერე რაიმეს წაკითხვა ჩვევად მაქვს.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საით გაგიწევია?

– სათევზაოდ.

– მომისმინე, მეთევზევ, თევზი აივანზე კიდია, ლუდი მაცივარში აწყვია, ხოლო ხვრელი სადაცაა, თავადაც კარგად იცი!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– სამსახურში დღის მეორე ნახევარში არაფრის გაკეთება არ მსურს.

– და დღის პირველ ნახევარში?

– ჭამა და ძილი.

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– სასწრაფოდ უნდა გაგიკეთოთ ოპერაცია!

– ექიმო, არ შეიძლება გადადება? ნახევარი წელი ველოდი კბილების პროთეზირებას!

კარდიოქირურგი ჩაფიქრდა, გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი, ხუთი. პაციენტმა ვეღარ მოითმინა და ეკითხება:

– ექიმო, რატომ ხართ ჩუმად?

– წარმოვიდგინე, უკრავენ შოპენს, ყველა ტირის, თქვენ კი კუბოში წევხართ ლამაზი, სწორი, ქათქათა თეთრი კბილებით!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– რომ ვიკუზები, ტრუსიკი მიჩანს?

– არა, მაგრამ, შეგეძლო, ჩაგეცვა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ომარ მხეიძე: „ვგმობ და ვემიჯნები ყველანაირ ძალადობას“

მოცეკვავე ომარ მხეიძე, რომელიც „სუხიშვილების“ ოქროს თაობის წარმომადგენელია, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება.

– ქვეყანაში მიმდინარე რთულ პროცესებთან დაკავშირებით, მინდა ჩემი მკაფიო პოზიცია დავაფიქსირო. პირველ რიგში, ვგმობ და ვემიჯნები ყველანაირ ძალადობას. ყველა მოძალადემ პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე.

ასევე მინდა ჩემი მკაფიო პოზიციის დაფიქსირება ლგბტ თემთან დაკავშირებით.

კატეგორიულად ვგმობ ლგბტ პროპაგანდას!

განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები იყვნენ, არიან და იქნებიან და მათზე არავინ უნდა იძალადოს. ეს ცალსახაა, ოღონდ მათაც უნდა ესმოდეთ, რომ მათი ცხოვრების წესის პროპაგანდა(!) ჩვენთვის, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის, უკიდურესად არასასურველია.

ასევე მინდა აღვნიშნო, არასასურველად და მიუღებლად მიმაჩნია ნებისმიერი, ტრადიციული თუ არატრადიციული, სექსუალური ორიენტაციის ადამიანების სექსუალური სურვილების და მიდრეკილებების ქუჩაში, სააშკარაოზე გამოტანა. რამეთუ ეს იმდენად ინტიმური საკითხია, მისი ქუჩაში, სახალხოდ გამომზეურება, ჩემი აზრით, მინიმუმ, უხერხულია.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი დიდი პატივისცემა, ნდობა და სიყვარული ჩვენი პატრიარქის მიმართ. უფალმა გააძლიეროს ჩვენი ერის სულიერი მამა ილია მეორე! უპირობოდ ვეთანხმები და ვიღებ მის ყველა გზავნილს, განკუთვნილს ჩვენთვის, მისი სულიერი შვილებისთვის. განვიცდი, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შემიძლია მის გვერდით ფიზიკური დგომა. როგორც ამას ჩოხოსან მეგობრებთან ერთად ვაკეთებდი მრავალი წლის მანძილზე.

ამ განსაცდელის ჟამს უფალმა გააძლიეროს პატრიარქი ილია მეორე და სრულიად საქართველო!

გოგი გვახარია საფრანგეთში გამგზავრების მსურველებს აფრთხილებს

კინომცოდნე გოგი გვახარია საფრანგეთში გამგზავრების მსურველებს აფრთხილებს და საკუთარ გამოცდილებას უზიარებს:

– კანის კინოფესტივალზე მკაცრად იცავენ უსაფრთხოების ნორმებს. ჩემს კოლეგებს, იმათ, ვინც სინოფარმით აიცრა, მაინცდამაინც არ სჯეროდათ, რომ ევროკავშირის საზღვარს გადაკვეთდნენ, მიუხედავად ფესტივალის დირექციის ოფიციალური წერილისა, რომელიც კანში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მივიღეთ. „ასტრაზენეკელები“ საერთოდ არ ვფიქრობდით პრობლემებზე – თბილისში გვარწმუნებდნენ, რომ ევროკავშირის მიერ აღიარებული ვაქცინები კანის ფესტივალზე გასამგზავრებლად ყველანაირ ბარიერს მოგვიხსნიდა.

საზღვარი წარმატებით გადავკვეთეთ. ამდენ საბუთს შორის, მგონი, მაკრონის წერილი გვაკლდა მხოლოდ. უბედნიერესი ვიყავი – ჩემმა „ასტრაზენეკამ“ ევროპის კარი გამიხსნა. მაგრამ ეს სიხარული დროებითი აღმოჩნდა. ფესტივალის სასახლის შესასვლელთან ახალგაზრდა ქალმა ყურადღებით დამითვალიერა საბუთები, ყველა მხრიდან ატრიალა თავისი აპარატი, რომელიც „ქიუ არ“ კოდებს კითხულობს და ბოლოს გამომიცხადა: „პარდონ, მაგრამ ქართულ ასტრაზენეკას ჩვენი სისტემა არ კითხულობს“.

ამის მერე გამიშვეს ტესტზე, რომელიც აქ 48 საათში ერთხელ უნდა ჩაიტარო თუკი კანის ფესტივალის სასახლეში შეღწევის სურვილი გაქვს.

მოკლედ, მეგობრებო, ევროპაში აღიარებული ვაქცინებით აცრილებო, სანამ ევროპაში გაემგზავრებით, კარგად გაარკვიეთ, რას აჩვენებს კოდი, რომელიც დართულია თქვენს ე.წ. „კოვიდ ბარათზე“. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთში გამგზავრებას თუ აპირებთ, იცოდეთ, ქართული კოვიდბარათი კი არა, მაკრონის წერილიც კი არ გიშველით.

მაგდა ვასაძე მისი სიმღერის უნებართვოდ გამოყენებას აპროტესტებს

მომღერალი მაგდა ვასაძე მეკობრეების მიერ მისი სიმღერის უნებართვოდ მოპოვებას და გამოყენებას აპროტესტებს:

– გია ყანჩელის ცნობილი თემის მიხედვით მაგდა ვასაძემ მსმენელსა და მაყურებელს ყველასთვის ცნობილი ჰიტის „საით მიდიხარ“ საუცხოო ჟღერადობით ახალი ვერსია შესთავაზა.

ბევრი ადამიანისთვის ეს ფავორიტი ვერსიაა, მაგრამ ვწუხვართ, რომ მუსიკოსების შრომა და მონდომება დამწყებმა და ახალბედა შემსრულებლებმა არ გაითვალისწინეს, პირატულად მოიპოვეს აუდიო ფაილი, ე.წ. მინუსი, არანჟირება ბექვოკალის ჩათვლით და პოპულარული სიმღერის ამ ვერსიას, უნებართვოდ და მუსიკოსებთან შეუთანხმებლად იყენებენ. მარტივად რომ ვთქვათ, უკვე ბევრგან მღერიან.

მოგმართავთ მომღერლებს, ბარებს, რესტორნებსა და ყველა იმ დაწესებულებას, სადაც ჩვენი შრომის შედეგი თქვენთან არალეგალური გზით მოხვდა, პატივი ეცით კოლეგების შრომას, იდეებსა და მონდომებას და მაშინ როცა, საქმე ჩვენი ძალისხმევით შექმნილ პროდუქტს ეხება, მინიმუმ, ნებართვა მაინც აიღეთ.

უმორჩილესად გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი აღშფოთება! წინააღმდეგ და განმეორებით შემთხვევაში აღნიშნულ საკითხს სამართლებრივ ჭრილში განვიხილავთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხოვოხები ა

შვეულად: 1. სპარსული სამიჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანი ლექსი; 2. ადამიანის სულიერი განცდის, მღელვარების გამოვლენა; 3. მადერას ტიპის ღვინოების დასამზადებლად გამოყენებული პორტუგალიური ვაზის ჯიში; 4. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 8. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 11. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 12. ამერიკელი ბიოქიმიკოსი, დნმ-ის აღმომჩენი; 16. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 18. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო.

თარაზულად: 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 5. რაიმე შემთხვევის შემსწრე, მნახველი; 7. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ-სინას მეორე სახელი; 10. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 13. აეროპორტი ბუქარესტში; 14. ცხარე ბოსტნეული; 15. ტანსაცმლის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 19. პატარა სასადილო იტალიაში; 20. ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 21. შემაგრებული ღვინო; 22. აზერბაიჯანული მაწონი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა